# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში,
როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა,
ცუდილებით და ჭორებით ბურთის
გატანა ყველა უკადრისობაზე
უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 4 მაისი, 2011 წელი.

№82 (6693)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.




## გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკა

2

## სახალხო გამოსვლების დაწყების თარიღი ბევრ კითხვას ბადებს

4



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ნახატი

## ქართული სული

## „ჩუმად, ვიღაც მღერის მთაზე, რა მალაა ამ ტკბილ ხმაში“...

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ტრადიციული ფესტივალი „ქართული სული“

6

წლეულს, 14 მაისს, ახალციხესა და ვალეში ჩვენი წმინდანი მეფის თამარის ცხოვრებისა და ღვაწლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციით იწყება...



4

## ვიდრე საქმეში მომხმარებლები ჩაერეოდნენ!..

- ვასილ სანოძე მძიმედაა დაჭრილი
- ფალსიფიცირებულ სასმელებზე დააკავეს
- „ლუკოილის“ მთავარი მენეჯერის ქალიშვილი მკვდარი იპოვეს

11



სიბინძურის ყულაბა

5

## ვაი, მთაწმინდავ!..

## ჩხოროწყუელებს და მუხურელებს ეს არ ეკადრებათ!



7




8 9

## უსამა ბინ ლადენის ალზევება და დაცემა


ბანი

0 თეთრი

მაგთის, ბალისა და ბანის აბონენტებთან

10 თეთრი

საქართველოს სხვა ნებისმიერ ქსელზე

დარეკეთ *000

30-დღიანი სარგებლობის ღირებულება - 1 ლარი, ზარის წამოწყება - 5 თეთრი
832 17 00 00 www.bani.ge

წერილი პატრიარქს

# იმედი გვაქვს, გაითვალისწინებთ ხალხის თხოვნას!

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს**

თქვენო უწმინდესობავ!

უკვდავი „დედაენის“ გამოცემის 135-ე და ქართული ენის დღის დაწესების 35-ე წლისთავის საიუბილეოდ, 14 აპრილს, საქართველოს სახალხო კრების აჭარის ორგანიზაციამ მოაწყო ღია სამეცნიერო კონფერენცია თემაზე:

„ქართული ენა უნიკალურია მსოფლიოში“.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომლის ერთი პუნქტი ასეა ჩამოყალიბებული:

**„ეთხოვოს საქართველოს საპატრიარქოს და პირადად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, უკვდავი „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგებაშვილი შერაცხოს წმინდანად“.**

აჭარას ახსოვს თქვენი მოღვაწეობის წლები ჩვენს მხარეში. გულწრფელად გვიყვარხართ და გვეიმედებით. დღესაც ლოცვასავით გვესმის თქვენი სიტყვები: „საქართველოს მოქცევა აჭარიდან მოდის...“.

ზაქარია ჭიჭინაძეს აბგით დაჰქონდა „დედაენა“ და ლოცვასავით ურიგებდა აჭარის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობას. მაშინ აქაურმა დიდებმაც და პატარებმაც სწორედ „დედაენით“ ისწავლეს წერა-კითხვა.

დღეს დედაენა საფრთხის წინაშე დგას, ამიტომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურმა მოღვაწეობამ არა მარტო შემეცნებითი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დატვირთვაც მიიღო.

გავიხსენოთ, რას წერდა დიდი აკაკი: „დარჩება შენგან სამარადისოდ გატკეპნილი გზა და ვინც მას არ გაივლის, ქართველად არ იხსენიება“.

გენიოსები ყველა დროში თანამედროვენი არიან!

**თქვენო უწმინდესობავ!**

**იმედი გვაქვს, გაითვალისწინებთ ხალხის თხოვნას და დიდ იაკობს, რომლის სახელსაც ისედაც ლოცვასავით წარმოთქვამს ქართველი ხალხი, წმინდანად შერაცხავთ.**

**საქართველოს სახალხო კრების აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის სახელით მისი თავმჯდომარე, მწერალი და მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე**

**ვახტანგ ახვლედიანი**

სამართალი

# „განრიდების“ მექანიზმი - ქართული მართლმსაჯულება იცვლება თუ ბიუჯეტი ივსება?

**საქართველომ ციხეებში პატიმართა რაოდენობის მაჩვენებლით რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოიტოვა. თუმცა ოპონენტთა ხშირი საყვედურების შემდეგ სახელმწიფო მიხვდა, რომ ასე გაგრძელება არ შეიძლება და რაღაც გამოსავალი უთუოდ საპოვნია.**

იუსტიციის სამინისტრომ პარლამენტსა და მთავრობას ახალი პროექტი — „განრიდების ინსტიტუტი“ შესთავაზა, რომლის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაიმართა.

როგორც იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა **ოთარ კახიძემ** აღნიშნა, „განრიდების“ მექანიზმი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა ციხეების გადასატვირთავად. ამაში 30-წლიანი გამოცდილება აქვს ჰოლანდიას, ამიტომ პროექტის კოორდინატორად ჰოლანდიელი იურისტი იაპ დევარდი მოიწვიეს, თუმცა კანონპროექტი ევროპელი ექსპერტების მეთვალყურეობით შემუშავდა.

**რას წარმოადგენს „განრიდება“? — სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევა ცვლილება, მუხლი 168. განრიდება, რაც იმას გულისხმობს, რომ პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს, ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის (განრიდების სუბიექტის) მიმართ, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, თუ განრიდების სუბიექტი შეასრულებს შემდეგ პირობებს: უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა ან ქონების ღირებულების ანაზღაურება; დანაშაულის იარაღის ან სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა; მისი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება; საზოგადოებისათვის სასარგებლოდ უსასყიდლო სამუშაოს შესრულება 140-დან 800 საათამდე; სახელმწიფოსთვის ბიუჯეტის სასარგებლოდ ფულადი თანხის გადახდა, რომლის მინიმალური ოდენობა 500 ლარით განისაზღვრა.**



ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბიუჯეტის შევსების კიდევ ერთი კარგი წყარო გამოიძებნა. თუმცა თავისთავად ის ფაქტი, რომ დამნაშავე შესაძლოა პენიტენციურ სისტემაში მოხვედრას გადაურჩეს, თავისთავად კარგია.

ეს არის ალტერნატიული მექანიზმი, რათა პირმა თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა — ნასამართლეობის სტატუსი, რადგან მოსამართლე და სასამართლო პროცესები აქ არ ფიგურირებენ. აღმოჩნდა, რომ ჰოლანდიის პარლამენტის რამდენიმე დეპუტატის მიმართ გამოყენებული იყო ამგვარი „განრიდება“, მაგრამ ისინი არ იყვნენ ნასამართლევი და არც პრობლემა არ შექმნიათ.

განრიდება ნებაყოფლობითია, პირს აქვს ადვოკატის აყვანის უფლება. ის შეიძლება დაეთანხმოს პირობებს, თუ რა თქმა უნდა, თავს დამნაშავედ მიიჩნევს, თუკი არა, საქმე სასამართლო პროცესზე განიხილება.

ამ პროცესში უამრავი ნიუანსია დასახვეწი, თუმცა აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანებთან მიმართებაში „განრიდების“ ინსტიტუტი, დიდი ხანია მუშაობს. როგორც იურისტებმა აღნიშნეს, შედეგი ეფექტიანია, მაგრამ მთავარი პრობლემა მათთვის არის სერვისების შეთავაზება, ანუ თუკი „განრიდებული“ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაზე არის თანახმა, უჭირთ, იმსფეროს გამონახვა, სადაც შეიძლება მათი დასაქმება. ესეც, ალბათ, ქართული რეალობის პარადოქსია.

**დეპუტატი ლაშა თორდია პროექტით კმაყოფილია: „ყველას ავიწყდება, რომ ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენური ვითარება იყო, ამიტომ რევოლუციურად მოსულმა ხელისუფლებამ ამას ბრძოლა გამოუცხადა. კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველო უკვე ერთ-ერთი უსაფრთხო ქვეყანაა, ამიტომ სრულიად დროულია ასეთი ინიციატივა. ჩვენს ციხეებში, მართლაც ბევრი პატიმარი გვყავს, ამიტომ სულაც არ არის აუცილებელი ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ადამიანის ციხეში ჩასმა. შეიძლება მისი დაჯარიმება, თუ რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. დიდი იმედი მაქვს, „განრიდების“ ინსტიტუტის შემოღებას პარლამენტი აუცილებლად დაუჭერს მხარს“, — აღნიშნა მან.**

**თეა მოსია**

მოლოდინი

# გამოცხადებული რევოლუციის ქრონიკა



**კარგით რა! დავიღალე!**

**ჰო, მე მართლა დავიღალე და თქვენი არ ვიცი.**

**ჯერ იყო და ველოდებოდი. მერე კიდევ ველოდებოდი. ახლა თურმე კიდევ უნდა დაველოდო!!!**

**არადა ლოდინი ძალიან რთულია.**

ერთი ძველი, ძალიან ძველი, აი სადღაც 1937 წლის დროინდელი ანეკდოტი გამახსენდა.

**— რადეკი (იყო ასეთი რევოლუციონერი) ამბობდა: — ნიკოლოზის დროს ვიჯექი და ველოდებოდი. დაველოდე, ისევ ვზივარო.**

ჩვენც ეგრე ვართ.

— ვიჯექით და ველოდებოდით. „დაველოდეთ“ და ისევ „ვზივართ“.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ორ ტომად გამოიცა ლევ ტროცკის „ჩემი ცხოვრება“, რომელშიც საკმაოდ ზუსტად არის აღწერილი ის გზა, რომელიც უნდა გაიაროს ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, რომელსაც სურს რევოლუციის მოხდენა.

მაჰათმა განდის მიერ განვლილი გზის წაკითხვაც შესაძლებელია.

(ოღონდ ჩვენი პოლიტიკოსებიდან ვინმემ რამე წაიკითხოს და, თუ ბიბლიოთეკაში არ არის ჩაწერილი, წიგნებს მე ვათხოვებ, მაგრამ...).

ეჰ, როგორ ველოდით 2 მაისს.

ზოგი რისთვის, ზოგიც რისთვის.

ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ... (ის რომ დავწერო, რასაც ფიქრობს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი, ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობას დამაბრალებენ. ამიტომ მრავალწერტილს დავჯერდები).

გარკვეულ ნაწილს კი იმედი ჰქონდათ, ახლა რუსთაველზე მრავალთვიანი და მრავალათასიანი მიტინგები დაიწყებაო.

იქ ცოტა ხნით დავდგებით, ხანდახან ტაშს დავუკრავთ და თითო კაპიკსაც შევიტანთ ოჯახებშიო, მაგრამ რა?

არაფერი!!!

არავითარი მიტინგი. არავითარი კარვები და „საკნები“.

ისე, თუ გინდათ, მოდით.

ახლა არ მკითხოთ, სად უნდა მოვიდეთო. აბა მე რა ვიცი სად უნდა მოხვიდეთ?

სადაც გაგეხარდებათ, იქ მოდით.

როდის?

რა ვიცი აბა, თუ გინდათ დღეს, მაგრამ არა მგონია, რომ ვინმე დაგხვდეთ.

ისე, დღეს თუ არ გცალიათ, 21-ში მოდით.

რომელი თვის?

პრინციპში მაისი სჯობს.

მაისი კარგია, იმიტომ რომ მერე ზაფხული იწყება.

ზაფხულში კიდევ ხომ იცით: — ზღვა, მზე, პლაჟი, „ზაგარი“ . . .

აუჰ, რაც კაია, კაია.

ჰოდა რა დროს მიშა და მით უმეტეს მისი „პარლამენტია?“.

ისე, თუ სიმართლე გინდათ, მიუხედავად ჩემი სკეპტიციზმისა, „სახალხო კრების“ ის გადაწყვეტილება რაც წავიკითხე, მართლა მაგარია.

მაგარია შინაარსით. მაგარია აზრობრივად, მაგრამ ე.წ. „პიარის“ თვალსაზრისით — ძალიან სუსტი.

სუსტი იმიტომ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის არ არის გათვლილი.

იმ ე.წ. „კორექტურაზე“ არ გავამახვილებ ყურადღებას, რაც პირველივე სტრიქონში გაიპარა, მაგრამ უკვე ყველამ იცის, რომ ამ „ბოლო დროს“ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს სულ „ცალ ფეხზე ჰკიდია“ სიტყვა „დემოკრატია“.

სამწუხაროა, მაგრამ ასეა და რა ვქნა?

რატომ?

იმიტომ, რომ როცა სიტყვა „დემოკრატია“ „ისმის“, ყველას რატომღაც „შეშფოთებული“ ევროპა, „აღშფოთებული“ ამერიკა, თეა თუთბერიძე, თინა ხიდაშელი, აკაკი მინაშვილი, ლევან რამიშვილი, გიგა ბოკერია და „ძმანი მაგათნი“ წარმოუდგებათ თვალწინ.

ამიტომ „დემოკრატიის“ მოთხოვნის წინა პლანზე გამოტანა და **„მოქალაქის გათელილი კონსტიტუციური უფლების“ (იქნებ „უფლებების“?) და „სიდუხჭირის დასაძლევად და ღირსეული მომავლისთვის ბრძოლის“,** მესამე და მეოთხე პუნქტებად „გადატანა“, ნამდვილად „გულს აუცრუებს“ გამწარებულ მოსახლეობას.

ასევე ცოტა „არაპიარშჩიკულად“ ჟღერს ჩამონათვალი:

**„სააკაშვილი გადადგება და ჩვენ მოვიპოვებთ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების უფლებას და ერთად გადავარჩენთ ჩვენს სამშობლოს.**

**„ჩვენ სახლებში მხოლოდ გამარჯვებულები დავბრუნდებით!“**

კი, ერთის შეხედვით გადასარევია!

გადასარევია, მაგრამ: —

**— დავბრუნდებით სახლებში და ჩვენს მშიერ შვილებს ვეტყვით: — . . .**

აუუ, რას ვეტყვით?

გავიმარჯვეთო?

და რა?

„როდის მაჭმევ მამა პურსო“ რომ მკითხავს შვილი, რა ვუთხრა?

როცა „დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება“ და ან ის მოიგებს, ან ვიღაც სხვა მერეო?

„ორცხობილები“ დავამზადო?

კარგით რა!!!!!!!

რაც შეეხება პუნქტს: — **სააკაშვილი გადადგება და ჩვენ მოვიპოვებთ სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების უფლებას და ჩვენ ერთად გადავარჩენთ ჩვენს სამშობლოს!**

— უბრალოდ ვიკითხავ: რომ არ გადადგეს, მერე რა ვქნა?

კარგი, ის ორცხობილა ერთი-ორი კვირა მეყოფა, მაგრამ 2018 წლამდე ნამდვილად ვერ გავქაჩავ.? (2013+5=2018ძ.

ნამდვილად არ მინდა, რომ სახალხო კრების გადაწყვეტილების ტექსტში რაიმე კორექტივები შევიტანო, რადგანაც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მართლაც რომ ღირსეული და ძალიან განათლებული ხალხია, მაგრამ...

არა რა!!!

**— 2011 წლის 21 მაისს, 15 საათზე თავისუფლების მოედანზე შეიკრიბება ყველა ჩვენი თანამემამულე, ვინც რეალურად მზად არის იბრძოლოს სააკაშვილის რეჟიმისგან ქვეყნის გასათავისუფლებლად.**

**პარალელურ რეჟიმში:** (ტექსტი გრძელდება რეგიონებზე).

და აქ არის ჩამონათვალი, თუ რა უნდა გაკეთდეს რეგიონებში, მაგრამ ფრაზა — „პარალელურ რეჟიმში“ ძალიან „უცნაურად“ ისმის.

ნეტა ეს ფრაზა ვინ მოიფიქრა? (კიდევ კარგი, რომ „კონსენსუსი“, „ნონსენსი“, „კოლაფსი“ და ეგეთი რაღაცები არ არის დაწერილიძ.

ბევრი ჩემი მეგობარია სახალხო კრებაში.

ძალიან ახლო მეგობარი და ამიტომ არ მინდა, რომ 21 მაისს მსგავსი ტექსტებით წარსდგნენ ქართველი ხალხის წინაშე.

არ მინდა, რადგანაც ვიცი, რომ ისინი რეალურ საქმეს აკეთებენ და „ტექსტების“ კორექტურის გასაკეთებლად არ სცალიათ.

ისე, რაღა დაგიმალოთ და თუ რევოლუციაა, რევოლუცია იყოს!

უნდა ამ ხელისუფლებას რევოლუცია?

მიიღებს!

მიიღებს, თუნდაც იმ მარტივი ქართული „ფორმულის“ გამო, სადაც „დაფიქსირებულია“, რომ „მარტო კაცი, პურის ჭამაშიაც ბრალია“.

ისე რაღა დაგიმალოთ და ძალიან მაინტერესებს იმ 16 „პოლიტიკური ორგანიზაციის“ აზრი, რომლებიც ბიუჯეტიდან იღებენ დაფინანსებას, რომლებიც ასე ვთქვათ ოპოზიციაში ითვლებიან და რომლებიც რეალური ბრძოლის წინ „ჩაილურის წყალს“ სვამენ.

(არა, საერთოდ ბიუჯეტიდან 17 „პარტია“ იღებს ფულს, მაგრამ მხოლოდ „ერთი“, ნაციონალური მოძრაობაა სახელისუფლებო. დანარჩენები „გამწარებულნი“ იბრძვიან ამ პარტიის დასამარცხებლადძ.

კიდევ რაღაც მინდოდა დამეწერა ამ პოლიტიკანებზე, მაგრამ ერთი ანეკდოტი გამახსენდა.

**მიმდინარეობს სიის ამოკითხვა:**

**— ჭიჭიკია?**

**— ვარ!**

**— ბიჭიკია?**

**— ვარ!**

**— ჟორიკია?**

**— ვარ!**

**— სად წახვალთ, წყალქვეშა ნავში ხართ და ნავი 1500 მეტრზეა ჩასული!**

სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობა იმ წყალქვეშა ნავშია, რომელიც ამ ე.წ. პოლიტიკოსებმა საკმაოდ ღრმად ჩაძირეს და ჯერჯერობით მხოლოდ იმის იმედი არსებობს, რომ იქნებ გამოჩნდეს ისეთი ვინმე, ვინც ჩვენს ხალხს ზედაპირზე ამოიყვანს.

არადა 21 მაისიც არ არის ძალიან შორს!

მარკესის არ იყოს, „ქრონიკა გამოცხადდა“.

ვნახოთ!

**გია გაბრიჭიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## მსოფლიო პრესის თავისუფლების დღე

# გაერომ სპეციალური მიმართვა გაავრცელა

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ მსოფლიო პრესის თავისუფლების დღისთვის სპეციალური მიმართვა გაავრცელა.**

**„როცა ხელისუფლება ავიწროებს თავის ხალხს, პრესის თავისუფლება მთავარი იარაღია ბოროტების წინააღმდეგ. გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვეობის პრობლემების ფონზე, ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა აერთიანებს ერებს საერთო ინტერესების საფუძველზე“,** — ნათქვამია მიმართვაში.



გაერო პრესის დღის 20 წლისთავს ახალი დევიზით ხვდება — **„ახალი ჰორიზონტები და ახალი ბარიერები“. მიმართვაში საუბარია ახალი მედიის როლზე, მობილურ ტელეფონებზე, რომლებიც ინფორმაციის გაცვლის ფართო შესაძლებლობებს იძლევა. საუბარია ბარიერებზეც, როცა სახელმწიფოები ვირტუალურ დევნას და ინტერნეტში ცენზურას ახორციელებენ.**

**გაეროს ინფორმაციით, 2010 წელს ახალი მედიის 6 ჟურნალისტი მოკლეს. 2008 წელს ციხეებში უფრო მეტი ონლაინჟურნალისტი მოხვდა.**

მიმართვის ბოლოს მოყვანილია ადამიანის უფლებათა დეკლარაციის მე-19 მუხლი, რომელშიც წერია: **„ყველა ადამიანს აქვს უფლება ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყველა საშუალებით სახელმწიფო საზღვრებისგან თავისუფლად“.**

გაეროს განცხადების მიხედვით, ეს დემოკრატიის და განვითარების მთავარ პრინციპად რჩება.

**3 მაისი მსოფლიო მედიის დღეა. ეს დღე 1991 წელს ნამიბიაში, ვინდხუკის დეკლარაციის საფუძველზე დააწესეს. ორი წლის შემდეგ კი ის გაეროს მსოფლიო პრესის დღედ აქციეს.**

**პრესის დღე აფრიკელი ჟურნალისტების მონაწილეობით დაწესდა. ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ მათ დაიწყეს თავისუფლებისთვის ბრძოლა აფრიკის კონტინენტზეც. 1991 წელს მათ იუნესკოსთან თანამშრომლობით ნამიბიის სემინარზე ცნობილი ვინდხუკის დეკლარაცია მიიღეს.**

ინტერპრესი

## მედიის წარსული და აწმყო

# პრესის 200 წლის ისტორია სამზეოზე გამოიფინა

## რა ვიცით ქართულ ჟურნალისტიკაზე?

**2-5 მაისი. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში „საქართველოს ბეჭდური მედიის წარსული და აწმყო“ გამოიფინება. გუშინ პრესის თავისუფლების დღისადმი მიძღვნილი ეს ღონისძიება ოფიციალურად გაიხსნა, სადაც რამდენიმე საინტერესო მოხსენება გააკეთეს, ვიდრე სტუმრებს საგამოფენო დარბაზში მიიწვევდნენ.**

ქალბატონმა ფერიდე კვაჟანტირაძემ ისაუბრა სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების სამსახურში პრესის როლზე. ლევან თაქთაქიშვილმა ელექტრონულ კატალოგზე გაამახვილა ყურადღება, სადაც თავმოყრილია ყველა ქართული გაზეთი. პერიოდული გამოცემების ციფრულ კოლექციას შეეხებოდა ხათუნა კენჭოშვილის მოხსენება, ხოლო ქალბატონი ნინო გედენიძე შეეხო საქართველოში გამოცემულ ქართულენოვან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის ჟურნალ-გაზეთებში რეკლამის როლსა და ადგილს.

დღიდან დაარსებისა დაახლოებით 3400-მდე დასახელების გაზეთი დაიბეჭდა საქართველოში. ქართული პრესის სათავეები XIX საუკუნიდან იწყება, როცა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ფონზე წარიმართა ქართული პერიოდიკის განვითარება. პირველი ქართული გაზეთებია „საქართველოს გაზეთი“ (1819-1821წ) და „ტფილისის უწყებანი“ (1828-1832წ). პირველი ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832 წელს გამოიცა. ზუსტად ოცწლიანი ვაკუუმის შემდეგ გამოჩნდა ჟურნალი „ცისკარი“ (1852-1853წ), თუმცა ქართულ პროფესიულ ჟურნალისტიკას ივანე კერესელიძის მიერ განახლებულმა „ცისკარმა“ (1857-1875წ) დაუდო სათავე. ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“, გაზეთი „დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა. XX საუკუნის დასაწყისში უხვად გამოდის სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების გამოცემები („სხივი“, „ელვა“, „მეგობარი“...). საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კი უკვე სამთავრობო გაზეთები გამოიცა, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, რომელთა გაცნობა სავალდებულოც კი იყო ყველასათვის.

კომუნისტური რეჟიმის დამთავრების შემდეგ, რასაც საქართველოს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა, ბეჭდური მედია გათავისუფლდა ყოველგვარი იდეოლოგიისაგან, მომრავლდა ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. თითქოს მოიხსნა ყოველგვარი ცენზურა, მაგრამ რამდენად დგას ზოგიერთი მათგანი საზოგადოების სამსახურში, შესწევს თუ არა მას ხალხის აზრის მართებული ფორმირება, — ეს უკვე განსჯის თემაა.

დღეისათვის საქართველოში წლის განმავლობაში 200-ზე მეტი დასახელების გაზეთი გამოიცემა. ინტერნეტ საიტი www.hplg.ge-ზე განთავსებულია ქართული გაზეთების კატალოგი, რომელიც მოიცავს არამხოლოდ ქართულენოვან გაზეთთა შესახებ ინფორმაციას, არამედ საქართველოში დაბეჭდილი უცხოენოვანი გაზეთების აღწერილობას. ასე რომ, დაინტერესებულ პირს ყოველთვის შეუძლია ადვილად და მარტივად ჩაიხედოს პრესის ქრონიკაში. „ქართული პერიოდ-გამოცემების ციფრულ კოლექციაში“ კი მხოლოდ სამოქალაქო სექტორის გამოცემებია შესული.

რაც შეეხება რეკლამის ისტორიას, პირველი ასეთი ტიპის განცხადებები ჯერ კიდევ 1820 წლიდან ჩნდება. რეკლამები ორ კატეგორიად იყოფოდა. პირველი მხოლოდ წამოძახილს ჰგავდა და განცხადების ფორმატს არ სცილდებოდა, ხოლო მეორე სახის რეკლამაში ვრცლად იყო მოთხრობილი ამა თუ იმ ბრენდის ისტორია და პროდუქციის დანიშნულება. მაგალითად, ასეთი სახის რეკლამა იყო სათიბი მანქანის შესახებ, კაკაოს მოხმარებაზე, კალოშზე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ გასაბჭოების შემდეგ ბეჭდური მედიიდან რეკლამა გაქრა. იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი, რომელსაც, ალბათ, ხათრის გამო ამგვარ „გადაცდომაზე“ უარს ვერ ეუბნებოდნენ, თუმცა გამოცემამ მხოლოდ ორი წელიწადი იარსება.

**...მოკლედ, ქართული ჟურნალისტიკის 200-წლოვანი ისტორია იმდენი საინტერესო დეტალებითაა აღსავსე, რომ ამის გაცნობა და ნახვა ნამდვილად ღირს. ამიტომაც დააფინანსა ეს პროექტი ფონდმა „ღია საზოგადოება საქართველომ“, რომელიც მიიჩნევს, რომ ბეჭდური მედიის გავლენა უზომოდ დიდია საზოგადოებაზე, ამდენად, ის უნდა იყოს თავისუფალი, ობიექტური და მკაფიო, სხარტი ენით გამოხატული. ვისაც გაინტერესებთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, მისი სათავეები და აწმყო, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაყვითლებული, გაცრეცილი ფურცლები გელიან, რომლებიც ასე თავისებურად მოგიყვებიან ამბებს საკუთარ თავსა და... საქართველოზე.**

ნია ფიფია

## საზოგადოება

# „მიტინგზე ვიყავი... ვიღაც რომ მოკლეს“

## გულგრილი დიალოგი

**უსულგულო, იდენფერენტული, უყურადღებო საზოგადოება; როცა ასეთ საყვედურებს სხვებისგან ვისმენდი, ყოველთვის უსიამოვნო განცდა მეუფლებოდა. უბრალოდ, იმიტომაც, რომ ერთი „გაფუჭებული ვაშლის“ გამო, სხვებისთვისაც „გაფუჭებული“ არ უნდა გვეწოდებინა. ასეა ახლაც, აზრი არ შემიცვლია. უნდა გვესმოდეს, რომ ხალხი კრებითი ცნებაა, სადაც იმდენი აზრია გამოხატული, რამდენიც თითო კაცია შიგ ნაგულისხმევი.**

ამჯერად, ერთ ჩვეულებრივ, თითქოს ერთი შეხედვით მარტივ შემთხვევაზე გიამბობთ, რომელიც შესაძლებელია ყოველ წუთს ხდება კიდეც, მაგრამ მაინც. დილით, ავტობუსში, უკანა სავარძელში მოსწავლე გოგონები სხედან. ასე მე-10-11 კლასელები. მეც მათ გვერდით აღმოვჩნდი. როგორც წესი, ახალგაზრდები თითქმის უმეტესად ხმამაღლა საუბრობენ, ისე რომ მათი მთელს ავტობუსში ესმით. წინა კარებში ბიჭი ამოვიდა, ზურგზე ჩანთამოკიდებული და ბილეთს იღებს. ერთ-ერთი გოგონა ეძახის „ჯ“. ეს ასო რამდენჯერმე გაიმეორა. როგორც იქნა „ჯ“ მოტრიალდა და ღიმილი მოეფინა სახეზე. ბავშვებმა ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს, გოგონამ მიიჩოჩა და ბიჭს ადგილი დაუთმო.

— დღეს არ დავიგვიანებთ, არა? — ამბობს ბიჭი.

— იმდენი „არა“ მაქვს დაგვიანების გამო, რომ მალე, ალბათ, გამრიცხავენ.

— გუშინ, რა მოხდა, სად წახვედი? — ეკითხება ბიჭი ერთ-ერთს.

— ჰო, მე შატალოზე არ წავედი, ხათუნას გავყევი მიტინგზე... ვიღაცა რომ მოკლეს, რა... მერე „მაკდონალდსში“ დამპატიჟა, იქიდან ბარში გადავედით და იმდენი ვიცეკვეთ, ფეხები დღესაც მტკივა...

დიალოგი გრძელდება, მოსაბეზრებელი და დამღლელი, მაგრამ სხვა რა გზაა, გინდა, არ გინდა, უნდა მოუსმინო. თუმცა მართალი გითხრათ, მხოლოდ მათი ხმაური მესმოდა, რადგან იმ ერთმა ფრაზამ მომჭრა ყური — „ვიღაცა რომ მოკლეს, რა“.

მივხვდი, რომ ეს გოგონა, რომელმაც გაკვეთილები გააცდინა, მიტინგზე ყოფილა. რა თქმა უნდა, კორტეზთან გამართულ აქციაზე იქნებოდა, რომელიც ვაზაგაშვილის მკვლელობას მიეძღვნა, მაგრამ გოგონას არც სახელი და გვარი ახსოვდა მისი, ალბათ, არც იქ ყოფნის მნიშვნელობა ესმოდა, არც საქმის არსში იყო გარკვეული.

„ვიღაცა ვაზაგაშვილი“ ამ გოგონების ტოლი იყო, ცოტათი უფროსი, როცა მოკლეს. რა მნიშვნელობა აქვს, იმის ფიცი-მტკიცს, ის იყო კრიმინალი თუ არა, ამისთვის არსებობს ციხე, შრომა-გასწორების კოლონია, მაგრამ პოლიციელს ნამდვილად არ აქვს უფლება, დამნაშავე სიცოცხლეს გამოასალმოს. ჩვენ ხომ ჰოლივუდის დონის ფილმების რეალობაში არ უნდა ვიცხოვროთ, სადაც „გმირები“ ყოველგვარი განუკითხაობით ხოცავენ „ცუდ ბიჭებს“. მაგრამ ახალ თაობას, აღმოჩნდა, რომ პროტესტის განცდა ამის გამო სულაც არა აქვს. მერე რა, ვიღაც რომ მოკლეს. აქციაზე ის დროის გასაყვანად მივიდა, მერე ბარში მოილხინა და აღარც გული სტკენია, აღარც სული შესძვრია იმ საზარელი მკვლელობის გამო.

**შესაძლოა, ახალგაზრდების დიალოგში ვინმესთვის აღმაშფოთებელი მაინცდამაინც არაფერი იყოს, მაგრამ მე მაინც ძალიან მეტკინა, მეწყინა, შინაგანად ამაფორიაქა ასეთმა დაუდევრობამ... ბოლოს და ბოლოს, ისევ ჩემს თავში ვიპოვნე გამოსავალი: ის იყო მაინც აქციაზე, მე არც ვყოფილვარ!**

თეა მოსია

## „ფრიდომ ჰაუსი“

# „საქართველოში მედიის თავისუფლების კუთხით ვითარება ნაწილობრივ გაუმჯობესებულა“

**ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსი“ მიიჩნევს, რომ მხოლოდ მსოფლიოს ქვეყნების მეოთხედ ნაწილშია მედია სრულად თავისუფალი.**

გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, გასულ წელთან შედარებით ნაწილობრივ გაუმჯობესდა ვითარება საქართველოში.

მედიის თავისუფლების რეიტინგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჯერ კიდევ არ არის სასურველ დონეზე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გასულ წელთან შედარებით გარკვეულწილად სიტუაცია გაუმჯობესდა საქართველოში, ყირგიზეთსა და მოლდოვაში.




უკრაინის რეიტინგი დაეცა, ხოლო რუსეთსა და აზერბაიჯანში პრესის თავისუფლება კვლავ დაბალ დონეზეა. ბელორუსი, თურქმენეთი და უზბეკეთი იმ ქვეყნების სიაში შევიდნენ, სადაც პრესის თავისუფლების მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა.

„ფრიდომ ჰაუსის“ განცხადებით, დღეისთვის მსოფლიო ქვეყნების მხოლოდ 25 %-ში არის მედია სრულად თავისუფალი ცენზურისგან, ამ ქვეყნებში კი დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 15 % ცხოვრობს.

„იმის მიუხედავად, რომ ინტერნეტი სულ უფრო ხდება ინფორმაციის გაცვლის გავრცელებულ შესაძლებლობად, მისი პოპულარობა ყოველთვის ხელს არ უწყობს მედიის განვითარებას ავტორიტარულ ქვეყნებში“, — აცხადებს „ფრიდომ ჰაუსის“ მოხსენების მთავარი რედაქტორი კერინ კარლეკარი.

მისი თქმით, ხელისუფლებებმა ისწავლეს მედიის არა მხოლოდ ტრადიციული კონტროლი, არამედ ისინი ინტერნეტსივრცესაც აკონტროლებენ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### მთავარია ხალხი!

## რამაზ საყვარელიძე: „სახალხო კრებას“ შესაძლოა, შანსი ჰქონდეს“...

**როგორც „პირველს“ რამაზ საყვარელიძემ განუცხადა, „გასათვალისწინებელია, რომ არაბეთში მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც მთელი მსოფლიო ფეხზე დააყენა, არანაირი მკაცრად გამოკვეთილი ლიდერები არ ჰყავდა“.**

**„ამ შემთხვევაში ლიდერები იმდენად დიდ როლს ვერ ასრულებენ, რამდენადაც მოსახლეობის განწყობები. არაბეთში რევოლუციას სულ არ ელოდნენ, მაგრამ რამდენიმე დღეში გამოვლინდა, რომ პროცესები ამ მიმართულებით მომწიფდა. თუ დღეს ჩვენ ქუჩაში რევოლუციურ კლიმატს ვერ ვგრძნობთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თუნდაც რაიმე მცირე ინციდენტის შედეგად რევოლუციური განწყობა ვერ აღმოცენდება. სახალხო კრებას წარმატების შანსი აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე გადაწყვეტილად ვერ ვიტყვი, რა პერსპექტივის მქონეა „სახალხო კრების“ ეს ინიციატივა. მას შეიძლება, უზარმაზარი პერსპექტივა ჰქონდეს, შეიძლება ასევე, ჩაქრეს, ისევე, როგორც სხვა ინიციატივები ჩამქრალა“,** – განაცხადა რამაზ საყვარელიძემ.

ამასთან, პოლიტოლოგის თქმით, **„საქართველოში აქამდე ჩატარებული ქუჩის აქციები ერთფეროვანი იყო და თუკი „სახალხო კრება“ გაითვალისწინებს რიგ ნიუანსებს, შესაძლოა, მისმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღოს“.**

**„ყველაზე მასშტაბური აქცია 2009 წლის აპრილში გვახსოვს, მაგრამ სამთვიანმა აქციებმა შედეგი ვერ გამოიღო. იმ აქციებს ის ხარვეზი ჰქონდა, რომ ერთ წერტილში იყო კონცენტრირებული და არაფერი ხდებოდა, გარდა დგომისა. მაშინ ხალხი ერთფეროვნებისგან დაიღალა. თუ „სახალხო კრება“ ამ ნიუანსებს გაითვალისწინებს და ამბობს კიდევაც, რომ ეს პროცესები მთელი საქართველოს მასშტაბით იქნება გაშლილი და დინამიურად წარიმართება, შეიძლება, ამ ყველაფერმა განსხვავებული შედეგი გამოიღოს, თუმცა იოლად ალბათ, რაიმე შედეგს მაინც არავინ უნდა ელოდოს“,** – განაცხადა საყვარელიძემ.

### ხალხი და, მხოლოდ ხალხი!..

## სოსო ცისკარიშვილი: სახალხო გამოსვლების დაწყების თარიღის გამოცხადება ბევრ კითხვას ბადებს

**ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის აზრით, სახალხო კრების მიერ ხელისუფლების დემონტაჟის მიზნით საერთო სახალხო გამოსვლების დაწყების თარიღის გამოცხადება ბევრ კითხვას ბადებს.**

როგორც „პირველს“ ცისკარიშვილმა განუცხადა, **„უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებას უჩნდება კითხვა, სააკაშვილი მთელი მთავრობით 22 მაისს რომ გაიქცეს, მერე რა ხდება?“.**

**„შეიძლება, ყველაფერი მოფიქრებული და გათვლილი აქვთ, მაგრამ თუ რეალურ გეგმას მალავენ, მაშინ**




**მხარდაჭერის ნაკლები ვარაუდი უნდა ჰქონდეთ. თუ თვლიან, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ჯგუფმა ჯერ ძალაუფლება უნდა აიღოს და მომავალზე ფიქრი მერე დაიწყოს, ესეც ნაკლებად მხარდასაჭერი იქნება, ამიტომ ხელისუფლების დემონტაჟის თარიღის დასანიშნად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“,** – განაცხადა ცისკარიშვილმა.

ექსპერტი არ გამორიცხავს, რომ „სახალხო კრების“ ქმედებები აქტიურ ფაზაში მართლაც გადავიდეს, თუმცა ურჩევს კრების მესვეურებს, **„რევოლუცია მოვლენას მაშინ დაარქვან, როდესაც ის მოხდება“.**

**„საზოგადოებას კონსტიტუციურ ვადაზე ადრე ხელისუფლების შეცვლა არ მობეზრებია. როგორც ადრე, ახლაც ასეთ განწყობას თავად ხელისუფლება ამკვიდრებს, მაგრამ უნდა იყოს თუ არა ეს დაკავშირებული ხალხის ქუჩაში დგომასთან, ტაქტიკის საკითხია. არ მგონია, ვინმეს რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად თავგანწირვა იმაზე მეტად ეხალისებოდეს, რაც შედეგის დასადგომადაა აუცილებელი. საზოგადოება, რომელიც პოლიტიკურად მომწიფდა, რაიმე ერთობლივი ქმედების ერთგული იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას მთლიანად, მკაფიოდ აქვს წარმოდგენილი პროცესი მისი შესაძლო განვითარების სცენარებით, ასევე თუ სრულიად კონკრეტული ხედვა აქვს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც შესაძლოა, ქვეყნის სათავეში მოექცნენ“,** – განაცხადა ცისკარიშვილმა.

**ხათუნა გაგნიძე,**
პირველი

### ნავთობპროდუქტები

# ვიდრე საქმეში მომხმარებლები ჩაერევიან!..



## „თავისუფალი მეკობრეობის“, ჭოპორტის პამიდვრის, მუხრანის კიტრისა და ზოგიერთი სხვა რამის შესახებ

**გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა, შიდსი, ტრეფიკინგი, ბირთვული უსაფრთხოება, ბუნებრივი კატაკლიზმები – ესაა იმ პრობლემათა ერთობ არასრული ჩამონათვალი, რომელთა უმრავლესობა კაცობრიობის წინაშე მრავალი ათეული წლის მანძილზე უაღრესი სიმძაფრით იდგა, მაგრამ რომელთა სიმწვავე განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა. ყოველი მათგანი დედამიწაზე უკლებლივ ყველას ერთნაირი სიმწვავით თუ არ ეხება, ცალკეული რეგიონებისთვის ზოგიერთ მათგანს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა, ვფიქრობთ, სრულიად ზედმეტი იქნება.**

პრობლემათა მოკლე ჩამონათვალში ენერგეტიკასთან, კერძოდ კი, ენერგოშემცველებთან არსებული პრობლემები შეგნებულად არ ვახსენე, რადგან სწორედ მათ შესახებ გვექნება უფრო დეტალური საუბარი.

უფრო სწორად, ლაპარაკი იქნება არა იმდენად თავად ენერგოშემცველთა, გაზისა და ნავთობის მსოფლიო მარაგებსა და მოპოვება-ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, რამდენადაც ჩვენში მათ (ამ შემთხვევაში, კერძოდ, ნავთობპროდუქტების) სარეალიზაციო ფასებზე.

ზემოთ ნახსენები გლობალური პრობლემები გარკვეული რეგიონის მოსახლეობას, შესაძლოა, ნაკლებად აწუხებდეს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, თითოეული მათგანი მაინც აისახება მთელი დედამიწის მოსახლეობაზე. ასეა ამ შემთხვევაში ნავთობპროდუქტებზე, უფრო კონკრეტულად კი, ბენზინზე, დიზელის საწვავსა და საავიაციო ნავთზე სამომხმარებლო ფასების წარმოშობის ჩვენში დამკვიდრებულ უაღრესად მანკიერ პრაქტიკასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ, როგორც ამის თაობაზე მრავალჯერ გვითქვამს, **საწვავზე ფასების უმნიშვნელო ზრდაც კი, უმალვე თითოეული მოქალაქის ჯიბეზე აისახება, რადგან საქართველოში დამკვიდრებული თავხედური პრაქტიკით, ნავთობპროდუქტების შემომზიდველები შიდა სამომხმარებლო ფასებს მსოფლიო ბაზარზე ფასების რამდენადმე საგრძნობ მომატებასთან ერთად, ფაქტობრივად, სინქრონულად უმატებენ, დაკლების შემთხვევაში კი საპირისპირო ნიშნით პროცესი კუს ნაბიჯით თუ მიმდინარეობს, ესეც დიდი საქმეა.**

ალბათ არ არის საჭირო იმის ცალკე განმარტება, რომ, ვთქვათ, საავიაციო ნავთის გაძვირება ავიაგადამზიდვებს აძვირებს, ბენზინსა და დიზელის საწვავზე ფასების მატება – როგორც სამგზავრო, ისე სატვირთო გადაზიდვების საფასურს ზრდის. ეს კი, ბუნებრივია, თავის მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროზე აისახება, პირველ ყოვლისა კი სურსათზე, მაშასადამე, საარსებო მინიმუმის ღირებულებაზე.

თავდაპირველად აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ **საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე სადღეისოდ არსებული ფასწარმოების მანკიერი პოლიტიკის მთავარი მიზეზებია ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და მის გატარებაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოს არარსებობა და, როგორც ამის შედეგი, საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი თავისუფალი კონკურენციის პრინციპების სრული უგულებელყოფა.** საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე მსხვილი კომპანია ქმნის „საფასო ამინდს“. სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღვნიშნოთ, რომ მრავალ სხვა ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, ამ ტიპის ბაზარზე ასევე რამდენიმე მსხვილი კომპანია ოპერირებს, მაგრამ იმავე სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა ითქვას ისიც, რომ, ჯერ ერთი, რომ მათ გვერდით უამრავ სხვა კომპანიასაც აქვს „სიცოცხლის უფლება“, რომელთაც იმის საშუალებას ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა უზრუნველყოფს, რომელიც „სანავთობო ზვიგენებს“ „ლიფსიტების“ გადასანსვლის და ბაზარზე „თავისუფალი მეკობრეობის“ უფლებას არ აძლევს.

**ინფორმაცია თემაში**

*ბენზინი და დიზელის საწვავი, ისევე, როგორც ნავთობის სხვა დისტილატები, სანავთობო კომპანია „სოკარს“ შემოაქვს აზერბაიჯანიდან, „ლუკოილს“ – ბულგარეთიდან, „ვისოლს“ – იტალიიდან, „ეკოს“ – საბერძნეთიდან, „რემპეტროლს“ – რუმინეთიდან.*

*დაგვეთანხმებით, გეოგრაფიულად ეს ქვეყნები საქართველოდან ერთობ საგრძნობლად განსხვავებული მანძილებითაა დაშორებული, შესაბამისად, ტრანსპორტირების ხარჯიც სხვადასხვაა და საწვავის ფასიც განსხვავებული უნდა იყოს...*

სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. საკითხი უფრო დაწვრილებით რომ განვიხილოთ, საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ **ქვეყნის ნავთობპროდუქტების საცალო ბაზარზე მოქმედი კომპანიების ურთიერთმოლაპარაკების მკაფიო მაგალითია საწვავზე ფასების მომატებისას მარტო დღეებში კი არა, ლამის საათებში დამთხვევაც კი.** ცხადია, როცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასი მატულობს, რაღაც დროის შემდგომ იგი ამა თუ იმ ქვეყნის საცალო ბაზარზეც იზრდება, მაგრამ არა ასე მყისიერად ყველა მსხვილი კომპანიის ავტოგასამართ სადგურში ერთ დროსა და არა ერთნაირი „დოზით“. არსებითად ეს პროცესი მხოლოდ თითოეული მათგანის არსებული მარაგების (ე.წ. ნაშთების) მოცულობაზე უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ... რა გასაკვირია, რომ ჭეშმარიტი და არა მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებული თავისუფალი ბაზრის პირობებში მსგავსი რამ ვერანაირად ვერ მოხდება.

წურწ ის დაგვავიწყდება, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან ხორციელდება, შესაბამისად, სხვადასხვა იმპორტიორს შემოზიდვის ხარჯიც განსხვავებული უნდა ჰქონდეს, რაც, თავის მხრივ, პირველ ყოვლისა ბენზინისა თუ დიზელის საწვავის ფასზე უნდა აისახოს, თუმცა, ბოლო წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, ამის იოტისოდენა იმედიც აღარავის აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის ბაზარზე არც მსხვილი იმპორტიორები, არც მათი პროფესიული გაერთიანების, კერძოდ, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და (ეს კი ნამდვილად სასაცილოა!) მომხმარებელთა კავშირის წარმომადგენლები აღიარებენ (რასაც მათგან არც არავინ მოელის!), ამაზე ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში უკვე დაუფარავად ალაპარაკდნენ. სალაპარაკო კი (უფრო მკაცრი სიტყვა რომ არ ვიხმაროთ), ნამდვილად არის, რასაც, ყველა სიკეთესთან ერთად, დიზელის საწვავის ბაზარზე სადღეისოდ არსებული ვითარებაც მოწმობს. **დღესდღეობით საქართველოში დიზელის საწვავი ბენზინზე დაახლოებით 5 პროცენტით ძვირია, რასაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ანალოგი არა აქვს! თანაც ეს იმ პირობებში, როცა საერთაშორისო ბაზარზე ბენზინის ფასი დაახლოებით ამდენივეთი მეტია დიზელის საწვავის ფასზე. ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბენზინის აქციზის გადასახადი ჩვენში დიზელის საწვავის აქციზზე 20 პროცენტით ნაკლებია!**

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ერთია, როცა ეს სამარცხვინო ამბავია თუნდაც იმიტომ, რომ, ფაქტობრივად, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში დიზელის საწვავი ბენზინზე გაცილებით (12-დან 24 პროცენტამდე) იაფია, მეორე კი ის, რომ სოფლის მეურნეობის მთელი ტექნიკა, როგორც თანამედროვე, ისე ძველი, **დიზელის საწვავზე მუშაობს. ამდენად, დიზელის საწვავზე არაადეკვატურად მაღალი ფასი კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამარადისოდ დასამარების თუ არა, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხნით დამუხრუჭების გზაზე.**

ამიტომ, ვფიქრობთ, ჭოპორტის პამიდვრის, მუხრანის კიტრისა და აბაშის სიმინდის ამბავი, სხვებთან ერთად, „ვისოლების“, „ლუკოილების“, „სოკარებისა“ და „ძმათა მათთა“ თავკაცებს თავდაპირველად ისევ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირმა უნდა მოიკითხონ, ვიდრე ეს საქმე თავად მომხმარებლებმა არ ითავეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ სიბინძურის ყულაბა

# ვაი, მთაწმინდავ!..




## გამოხმაურება გელა ზედელაშვილის „რეპორტაჟზე მთაწმინდის პანთეონიდან“

**ჟურნალისტური და ადამიანური ეთიკის გამო, ეს წერილი, პირველყოვლისა, იმავე გაზეთს შევთავაზე, სადაც ბ-ნი გელას რეპორტაჟი დაიბეჭდა. გაზეთ „კვირის ქრონიკის“ რედკოლეგიის წევრმა მანანა გიორგაძემ წერილის მოცულობის გამო, უარი მითხრა – შემოსული მასალა ერთ ნაბეჭდ გვერდს არ უნდა აღემატებოდესო. მე კი ჩემი სათქმელი ამ ოდენობით გამოვხატე, განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.**

გაზეთ „კვირის ქრონიკის“ 18-21 აპრილის ნომერში გელა ზედელაშვილის წერილი, ნარკვევი, მონაჭორი, თუ რა ვუწოდო, აღარც კი ვიცი (თავად ავტორი რეპორტაჟად მოიხსენიებს), რომ წავიკითხე, გამოგიტყდებით, მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. თანადროული უზნეობის, აღვირახსნილობის, განუკითხაობისა და დაუნდობლობის ფონზე, მკითხველი ალბათ, გაკვირდება კიდეც, რამ გამიტეხა ძილი, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარ-სამანი და სასრული.

ე.წ. შესავალში ბ-ნი გელა ირონიულად გვამცნობს, რომ მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ასვლა ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმეცრებამ და წინაპართა მონახულების სურვილმა გაუღვივა. ეს იდეა კი მას შემდეგ აღეძრა, რაც ერთ-ერთმა მინისტრმა, სხვიტორში სტუმრობისას, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმის მოხილვის შემდეგ, იქვე დიდი მგოსნის საფლავის მონახულების სურვილიც გამოთქვა. სიმართლე გითხრათ, ამ ამბის შეცხადება მართლაც შეიძლებოდა, რომ არა თავად ბ-ნი გელას წერილი, რომლითაც იგი ცდილობს ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვითომ მიასწავლოს სახელოვანი წინაპრების სამუდამო ძვალთშესალაგი და ამ „კეთილშობილური“ მიზნით, მუხლსაც არ ზოგავს და პანთეონს მიაშურებს. ამ რეპორტაჟის წაკითხვის შემდეგ, აღარც მინისტრი ქალბატონის უხერხული სურვილი გამკვირვებია და აღარც მაღალი ეშელონების სხვადასხვა წარმომადგენელთა ლიტერატურული თუ ისტორიული პარადოქსები გამაოცებს ამიერიდან, რადგან თვით ჟურნალისტები, რომელთაც წესით მრავალმხრივი განსწავლულობა, დიპლომატია, ეთიკა, მორალი და კიდევ უამრავი რამ მოეთხოვებათ, სრულებით თავისუფლები არიან ამგვარი ვალდებულებებისაგან.

ეს უსახური, ყოველგვარი საღი აზრისა და განსჯისაგან დაცლილი, არაფრისმთქმელი და მრავალმხრივ (და მრავალთა) ღირსების შემლახავი წერილი, სამწუხაროდ, ვერც პოლიტიკოსებისათვის გამოდგება გზამკვლევად და შემთხვევით მკითხველს ხომ სამარადჟამოდ აურევს თავგზას. მინდა უშუალოდ წერილის შინაარსზე გადავიდე და ვერ კი მომიხერხებია, აღარც კი ვიცი, საიდან დავიწყო და რომელ ერთ უღირს პასაჟს შევეხო.

ვიდრე ძირითად სათქმელს ვიტყოდე, პირველ ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის სრულებით გაუგებარია, ჟურნალისტობაზე „თავდადებული“ და ამ დარგში პრემირებული კაცი, რატომ უნდა ავსებდეს საგაზეთო სტატიას ბარბარიზმებით, როცა ამის არავითარი საჭიროება არ არსებობს. დღევანდელი ჟურნალისტებისგან სასიკეთოს რომ აღარაფერს უნდა მოველოდეთ, ეს კარგა ხანია, ვიცით, მაგრამ ასეთი უპასუხისმგებლობა, მართლაც წარმოუდგენელია. რატომ უნდა ესაუბრებოდეს მკითხველს შუახნის ჟურნალისტი მით უფრო, მთაწმინდისკენ მიმავალი თუ იქიდან მომავალი, ჟარგონით, მდაბიო მეტყველებისთვის ნიშნეული მახინჯი ლექსიკური ერთეულებითა და გაუმართავი გრამატიკული ფორმებით. თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს წერილიდან: „არა, ალიარეთ, ხომ მაგარი იდეაა?“ „რაკი „სასტავი“ შეიკრა...“ „მაგარ „პერაშკებს“ ვაცხობო...“ „მე კახური ღვინო ჩავასხი ბოთლებში, კიდევ რაღაც-რაღაცები მივამატე, ანუ „ზაკუსკეული“ და ავუყევით მთაწმინდის გზასა“... და ა. შ. ჩვენს შენიშვნაზე, ავტორმა, შესაძლოა, თავი იმართლოს – მე ეს ფორმები ხაზგასმით ბრჭყალებით მოვიხმეო, მაგრამ ბ-ნო გელა, ამას არავითარი გამართლება არა აქვს, მით უფრო დღეს, როცა ქართული ენა სულს ღაფავს და ის გადასარჩენი და შესანარჩუნებელი გვაქვს. ცოტაა ქართული შესატყვისი, ის ნიმუშები შეახსენით და შესათავაზეთ, ბატონო, ისედაც უცხო ლექსიკითა და სუბტიტრებით გაბეზრებულ ქართველ ხალხს. რატომ უნდა იკითხოს ადამიანმა ასეთი მდარე ნაწერი, როცა თქვენ, ჟურნალისტს, მით უფრო ბეჭდური მედიის წარმომადგენელს, ვალადაც გაძევთ, დახვეწილი და გამართული ენით ესაუბროთ იმ მკითხველს, რომელიც, ამ გაჭირვების ჟამს თქვენს გაზეთში 2 ლარს იხდის. ამასთანავე, თქვენ სამაგალითოც უნდა ბრძანდებოდეთ თქვენივე ახალგაზრდა კოლეგებისათვის, რომელნიც უმძიმესად სცოდავენ ქართული ენის წინაშე. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ჩვენს პოლიტიკოსებს ვერ წაადექით მოძღვარ-მასწავლებლად, ვეჭვობ, თქვენი საგაზეთო წერილებით ახალგაზრდა ჟურნალისტები გამოიზარდონ ღირსეულ მოკალმეებად.

ახლა კი მთავარი: როგორც რეპორტაჟის შესავალში აღნიშნავთ, მთაწმინდაზე „საგანმანათლებლო“ მისიით მიბრძანებულს, სხვადასხვა პროფესიის ოთხი ახლობელი ადამიანი გახლდათ. თავიდანვე მინდა გითხრათ, რომ მათგან ორს – თქვენს ერთადერთ თანამეინახე ქალბატონს, ამჟამად „ქრონიკის“ თანამშრომელს, თამარ ოქრუაშვილსა და პოეტ თემურ ჩალაბაშვილს, მშვენივრად ვიცნობ. თუმც ამას საქმისა და ჩემი სათქმელისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ჩემთვის ყველაზე ამაშფოთებელი ის არის, რომ გაზეთის სრულ ორ გვერდზე გადაჭიმულ თქვენს ნაღვაწში, ე.წ. რეპორტაჟში, არც ერთი სიტყვა არ არის თქვენი ბაგიდან წარმოთქმული, დიალოგი თითქოს მხოლოდ თქვენს თანამესუფრეებს შორის გამართულა, თქვენ კი ერთგვარ შემფასებელ-დამკვირვებლად გამოიყურებით, თანაც წინასწარ შემზადებულ და დაყურადებულ მსმენელად, რასაც არც მალავთ და კბილის კაწკაწით მოელით როდის მოეკიდება თქვენი ნაქები ღვინო თქვენს „მეგობრებს“: „ვიცი, ესენი ცოტა ხანში ცოცხლებზეც გადავლენ და ისეთ რაღაცებს იტყვიან, პირს დამალებინებენ“. გამოგიტყდებით, მსგავსი „გულწრფელობა“ არც ერთი „ბულვარული“ ჟურნალ-გაზეთის სენსაციაზე დაგეშილ ჟურნალისტთანაც არასოდეს შემხვედრია.

ბ-ნო გელა, მინდა ისიც იცოდეთ, რომ წერილის ყოველ სიტყვას, მე თქვენს თქმულად აღვიქვამ და არა თქვენგან ხაზგასმით აღნიშნული ადამიანებისგან წარმოთქმულად, რადგან მათი აზრი, შესაძლოა, არც გასცილებოდა მთაწმინდის სანახებს, რომ არა თქვენი „მარჯვე“ კალამი და ჟურნალისტური „ჩასაფრება“. ისე ისიც საკითხავია, ვინ მონათლა „ჟურნალისტობად“ ამგვარი გარჯილობა?

თქვენი უშინაარსო, თითიდან გამოწოვილი წერილიდან ირკვევა, რომ თქვენთვის მაინცდამაინც სახარბიელო არაფერი თქმულა მთაწმინდის პანთეონში გაშლილ სახელდახელო სუფრასთან. იქნებ „ჭრა“ არ ჰქონდა თქვენს ღვინოს, ან დრო იყო მცირე?! ფაქტია, რომ ძალზე გიწვალიათ, ვიწრო წრეში თქვენი „მეგობრების“ სიტყვას მოყოლილი სხვადასხვა ფრაზიდან სენსაციური ოპუსი შეგექმნათ. სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ, არ გამოვიდა თქვენი ჩანაფიქრი. სამაგიეროდ, კარგად გამოგივიდათ თქვენი თანამესუფრეების, თანამედროვე მწერლების, ახლახან თუ მრავალი წლის წინათ გარდაცვლილი ჩვენი ღირსეული წინაპრების შეურაცხყოფა.

დიახ, შეურაცხყოფილთა შორის თქვენი თანამესუფრენიც ვახსენე და როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მათგან ერთ-ერთს, პოეტ თემურ ჩალაბაშვილს საბედნიეროდ, მეც ვიცნობ. ოღონდ არა ისე, ბ-ნო გელა, როგორადაც თქვენ წარმოაჩინეთ ეს ყველასთვის საყვარელი პიროვნება. ბ-ნი თემურისგან მრავალი საინტერესო და საგულისხმო ამბავი თავად მომისმენია, მაგრამ არა იმგვარად, თქვენ რომ სთავაზობთ მკითხველს, თითქოს მრუდე სარკეში ახედებდეთ მათ. ყველამ კარგად იცის, რომ გარდა ძველი პლეადის მწერლებთან ახლო ურთიერთობისა, ბ-ნი თემური ახალგაზრდა თაობის დიდი მეგობარი და გულშემატკივარიცაა. მისი გულისხმიერების წყალობით, მრავალ დამწყებ კალმოსანს გაღვივებია შემოქმედებითი ნაღვერდალი, ბევრს უბრალოდ, შეჰყვარებია პოეზია და ქართველ პოეტთა ტრფიალად ქცეულა. ახალგაზრდებთან ერთად, მისთვის, არც ღამის ქალაქში ყარიბობაა უცხო და არც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „მისიონერობა“ ქართული სიტყვისა და ქართული ლექსის „საქადაგებლად“. სხვა რაღა უნდა ვიფიქრო ჩვენს მკითხველთან ერთად, გარდა იმისა, რომ თქვენთვის, ალბათ, სწორედ ასეთი ღირსეული კაცია საჭირო, რომელსაც ამ ღირსებას შეულახავ და მის სიტყვას სანდოობასა და დამაჯერებლობას დაუკარგავ. საბოლოოდ კი, ხალხს აღარავის რწმენა ექნება და მიზანიც მიღწეულად ჩაითვლება. მაინტერესებს, თქვენ რა გაგიკეთებიათ, ბ-ნო გელა, იმის ფასი, რომ ამგვარი ადამიანების დისკრედიტაციას ცდილობთ? გრცხვენოდეთ, ასეთი სულმდაბლობის! ვინც კი იცნობს ბ-ნ თემურს, არავინ ირწმუნებს, რომ ეს რომანტიკული სულის კაცი, რომელიმე ჩვენს თანამედროვე მწერალსა თუ პოეტს, ან აწ გარდაცვლილ უხუცეს მეგობარს და მის პირად ისტორიას, ასე ხელაღებით და „ძველბიჭურად“ მოიხსენიებდა. მით უფრო, რომ თქვენგან განსხვავებით, ბ-ნ თემურს არა აქვს იმის გასაჭირი, სათქმელი პირადად ვერ უთხრას ადრესატს, მისი პირდაპირობაც, ქალაქში არავისთვისაა უცხო და უჩვეულო. ის კი ნამდვილად ძალზე უჩვეულოა, რომ ჟურნალისტი, წინაპრების საფლავების მონახულების მომიზეზებით, ახლობლებს მთაწმინდაზე მიერეკებოდეს იმის იმედით, რომ რამდენიმე ჭიქა ღვინით გახალისებულთ, სასურველ ინფორმაციას დასტყუებს და ამით გაზეთის ფურცლებს ააჭრელებს – მკითხველს გულ-გონს მოუწამლავს, ისედაც სამტროდ დაღირებულ მწერლებს ერთმანეთს გადაჰკიდებს, მართალ, წესიერ კაცს ჩირქს მოსცხებს და სახელს გაუტეხს, სამაგალითო წინაპრებს კი სულსა და საფლავში ჩააფურთხებს...

ბ-ნი გელას „ჟურნალისტურ ძიებათა“ ამპლიტუდა უსაზღვრო გამოდგა. არ მინდა უგულისყუროდ დამრჩეს კიდევ ერთი ამაშფოთებელი მომენტი ამ სრულიად აბრაკადაბრული წერილიდან. მთაწმინდაზე შეხვედრილი რამდენიმე ქალბატონის გამო, (რომელთაც, თითქოს სათანადო გულისხმიერება და ყურადღება არ გამოხატეს, როცა ბ-ნმა გელამ თავის თანამესუფრეებთან ერთად ენის დღე მიულოცა მათ) წერილის ავტორი ახლა უკვე ქართველ ქალებსაც, ჩვეული წარმატებით, უდიერად და კადნიერად იხსენიებს: „ქალები მოდიან ზემოდან. ზრდასრულები და რამე. ისინი არც კი გვიყურებენ, საერთოდ არ გვაქცევენ ყურადღებას, სასოწარკვეთილი დიასახლისებივით ჩადიან კიბეზე. ეეჰ!.. ნეტა როდის შეიცვლება ქართველი ქალის მენტალიტეტი? ასეთ გულთბილ მილოცვაზე რუსი, უკრაინელი, ამერიკელი და ნებისმიერი წარმოშობის ქალი გაგიღიმებს, გაგიცინებს, მადლობას გეტყვის, აქეთაც მოგილოცავს და შეიძლება სმაშიც შემოგიერთდეს. ესენი ისე მიდიან, გეგონება, ქვებს ვესვრით და უნდა გაგვასწრონ. არ მინდა, ქალო, შენი სიცილ-კისკისი, ბაგე გახსენ, ოდნავ გაიღიმე, ნამდვილ ადამიანს დაემსგავსე, რას იბღვირები ბოსლიდან გამოპარულივით?“ როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია! ძვირფასო მკითხველო, ბოდიშს გიხდი ვრცელი ამონარიდისთვის და ამ ფრაზების გამეორებისათვის, მაგრამ მინდოდა, ჩემი გაღიზიანების მიზეზი თქვენთვისაც საცნაური ყოფილიყო. ამ პასაჟის დეტალურ განხილვა-განქიქებას კი აღარ შევუდგები, რადგან ეს გარჯა ისეთივე წარუმატებელ მცდელობად მესახება, როგორც „მგლის თავზე სახარების კითხვა“.

სხვისი პირით გამოთქმული, სასურველი ინფორმაციით დაძეძგილი რეპორტაჟის დამაშვრალი „შემოქმედი“ კი თავად, ალბათ, ნეტარებით გაიყურსა გაზეთის გამოსვლის მოლოდინში, დაიმედებული, რომ პოლიტიკოსებსა თუ უბრალო მოკვდავთ, „მშვენიერი და სასარგებლო სასწავლო-საგანმანათლებლო ექსკურსია“ მოუწყო მთაწმინდის პანთეონში.

ბ-ნო გელა, ვერ დაგიმალავთ, რომ ამ ამაზრზენი წერილის გაცნობის შემდეგ, ერთადერთი სურვილი გამიჩნდა: ნეტავ, მინისტრი ქალბატონის მსგავსად, არც თქვენ გცოდნოდათ, სად განისვენებენ ჩვენი დიდებული ადამიანები, მაშინ ხომ ისინი ნამდვილად გადაურჩებოდნენ უდიერებას, ათასი ჭორისა თუ ცილისწამების ქარტეხილს და, რაც მთავარია, თქვენს ნაყალბევ, პათეტიკურ, უმეცარ ჭირისუფლობას!..

**სოფიო ჯაფარიძე,**
ფოლკლორისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

**P. S.** სამწუხაროდ, გელა ზედელაშვილის ბინძური წერილების ნაკადი არ წყდება გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ფურცლებზე (ამის დასტურია მისი ბოლო ნომერი). იმედია, საზოგადოება ხმას აღიმაღლებს ამ დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ და უფლებას არ მისცემს გაზეთის მესვეურთ მათი გაავებული და არაკვალიფიციური „ჟურნალისტის“ საშუალებით, განუწყვეტლივ ჩირქი სცხოს როგორც ქვეყანას, ისე მის სახელოვან, ცოცხალ თუ გარდაცვლილ მოღვაწეებს და ქართულ ენას და ზოგადად ზნეობას.

ს. ჯ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**ქართული ხალხური ხელოვნების – ქართული ცეკვისა და სიმღერის თანადგომისა და აღორძინების ფესტივალს „ქართული სული“ ჰქვია.**

**ფესტივალის დაფუძნების იდეა „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ კომპანიას ეკუთვნის. ამ კომპანიის სახელი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უკვე კარგად არის ცნობილი.**

**„ქართული სული“ 2003 წელს დაფუძნდა. განვლილი რვა წლის განმავლობაში ფესტივალის ეგიდით მრავალი დაუვიწყარი ღონისძიება გაიმართა.**




# „ჩუმად, ვიღაც მღერის მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში“...

**წლეულს 14-15 მაისს ქართველთა წმინდანი მეფე-ქალის თამარის ღვაწლის კიდევ ერთხელ აღიარება-წარმოჩენით – ახალციხესა და ვალეში საგანგებო კონფერენციით დაიწყება (თამარ მეფესთან ერთად დიდი ადგილი დაეთმობა გამოჩენილი საეკლესიო და საერო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას).**

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსის, ცხუმ-აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, შარშან შევქმენით თამარ მეფის ფონდი, – გვეუბნება „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ გენერალური დირექტორი ბატონი **ზურაბ ჩხაიძე** და კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ მკითხველის საყოველთაო მოწონება უკვე დაიმსახურა თამარ მეფისადმი მიძღვნილმა 2011 წლის ალბომმა-კალენდარმა. ვიდრე ამ დიდი წმინდანისადმი მიძღვნილ სხვა სამეცნიერო და პოპულარულ ნაშრომებს გამოვცემდეთ, წლეულს, ჩვენი ტრადიციული ფესტივალი „ქართული სული“ გვინდა ტაო-კლარჯეთიდან დავიწყოთ და თამაროба დღეს (14 მაისსძ ახალციხესა და ვალეში ქართველ მეცნიერთა და ხელოვანთა ჯგუფი ჩავიყვანოთ...

– ეს იქნება ამ კუთხის ქართველობისთვის დაუვიწყარი შეხვედრა, ჩვენ ეს ძალიან გვჭირდება, – საუბარში გვერთვება ახალციხე-ტაო-კლარჯეთის ეპარქიის სოფელ არალის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის მღვდელმსახური **მამა იოსები (გაჩავა),** რომელიც სპეციალურად ჩამობრძანდა 29 აპრილს საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ უხუცესთა საბჭოს მეორე სხდომაზე დასასწრებად, რათა საკუთარი თვალყური მიედევნებინა იმ გულახდილი საუბრისთვის, „ქართული სულის“ ტაო-კლარჯეთიდან დაწყების აუცილებლობას რომ მიეძღვნა. თუმცაღა, უხუცესთა საბჭოს მეორე სხდომაზე სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც განიხილეს. მაისის ბოლოსთვის დაგეგმილია გალაკტიონ ტაბიძის დიდი შემოქმედებითი საღამო. ამ ღონისძიების დრო და ადგილი ასეა მონიშნული: 23 მაისი. მერაბ ბერძენიშვილის კულტურისა და ხელოვ-



ბონდო კალანდაძეს და ნუგზარ ერგემლიძეს ძალიან მოსწონთ კომპანიის ღვინოები.

ნების ცენტრი. ნათელია, რომ ვარდობისთვის ეს დღე დაუვიწყარი გახდება დიდი პოეზიის მოყვარულთათვის.

აქ ერთი სასიამოვნო ფაქტი უნდა გავანდოთ მკითხველს: უხუცესთა საბჭოს სხდომაზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მოწვეულმა საქართველოს პარლამენტის წევრმა, კომპოზიტორმა და მომღერალმა, პოეტმა და მხატვარმა **ნუგზარ ერგემლიძემ** გალაქტიონის რამდენიმე ლექსის ქართულიდან რუსულად მისეული თარგმანი წაგვიკითხა... ვიდრე მთარგმნელს ჩვენს შთაბეჭდილებებს გავანდობდით, კითხვის დამთავრებისთანავე „ტყვიასავით“ დაგვაყარა: მე ძალიან კარგად მესმის, გალაკტიონის თარგმნა რომ გაბედო, როგორც იტყვიან, გალაკტიონის კარგი აჩრდილი მაინც უნდა იყო, მაგრამ... რაც აქამდე მეფე-პოეტი რუსულად წამიკითხავს, ყველა ლექსს აკლდა მთავარი – გალაკტიონის მუსიკალური ხიბლი. მე ძირითადად ამ ხარვეზის გამოსწორებას ვცდილობ. უკვე 50-ზე მეტი ლექსი ვთარგმნე და როგორც სპეციალისტები მეუბნებიან, ურიგოდ არ მიშრომია...

– ყოჩაღ, ეს თარგმანები იმსახურებს მკითხველის აღიარებას. ჩვენ შევეცდებით ისინი ერთ კრებულად გამოვცეთ, რაიმე საწინააღმდეგო ხომ არ გექნებათ? – საბჭოს წევრებს მიმართა ბატონმა ზურაბ ჩხაიძემ.

– პირიქით, მივესალმებით... ერთსულოვნად დაეთანხმნენ...

– კიდევ იტყვი, ჩვენო ნუგზარ – **„ცხოვრება რა რთულია, როდესაც ქართულია“?,** – ვთქვი მე, რადგანაც უცებ მომაგონდა ნუგზარ ერგემლიძის ახალი წიგნის – „მხატვარი და მარგარიტას“ ეს ეპიგრამა.

– თუ ასეთი კეთილშობილი მეგობრები მუდამ გვერდით მეყოლება, მაშინ „ქართული ცხოვრებაც“ შეგვიმსუბუქდება, – დაგვამშვიდა ნუგზარმა...

* * *

**მოდით, ისევ მთავარ თემას დავუბრუნდეთ.**

„ქართული სულის“ მორიგი ღონისძიება იქნება საქართველოს სახალხო მხატვრის ზურაბ ნიჟარაძის შემოქმედების გამოფენა 2-დან 7 ივნისის ჩათვლით. ამჯერად მხატვარს უმასპინძლებს საგამოფენო დარბაზი „ვერნისაჟი“ (კოპალა). ზურაბ ნიჟარაძის თვითმყოფად შემოქმედებას ლამის ყველა ზრდასრული ქართველი იცნობს და მის გამორჩეულობაზე, „ქართული სულით“ განაშუქარ ფერწერასა და გრაფიკაზე ამჯერად არაფერს ვიტყვით.

წლევანდელი „ქართული სულის“ მშვენება უნდა იყოს 9 ივნისს თბილისის (ფილარმონიისძ დიდ საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი ლეგენდარული ანსამბლის „ქართული ხმების“ დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი, რომელიც ჩვენს დაუვიწყარ მგალობელ „ბიჭებს“ – გოგი დოლიძეს, დათო გოგიაშვილს, გურამ თა-



მაზაშვილს და ზაურ ბოლქვაძეს მიეძღვნება. მართალია „ბიჭები“ ზეციურ საქართველოში გაფრინდნენ, მაგრამ განუმეორებელი კაცობა, სიყვარულის ნიჭი და ქართული ხმები მიწაზე დაგვიტოვეს...

„ქართული ხმების“ ვარსკვლავები საიუბილეო გალა-კონცერტზე ერთგვარ სიურპრიზს გვიმზადებენ, რომლის გამხელა, ჯერჯერობით, კატეგორიულად გვეკრძალება...

30 აგვისტოს ასკანელი ძმები ჩხაიძეები ოზურგეთის რაიონის სოფელ ასკანაში „ასკანობაზე“ – ამ ულამაზესი ქართული სოფლის სახალხო დღესასწაულზე ჩაბრძანდებიან... საკუთარ ოდაბადეზე – ადგილის დედაზე ხომ ძმებმა მაცხოვრის ამაღლების სახელობის ულამაზესი ტაძარი ააშენეს...

**„ჩუმად, ვიღაც მღერის მთაზე, რა ძალაა ამ ტკბილ ხმაში, არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში“...** ხომ გახსოვთ გალაკტიონის ლექსის („გურიის მთებს“ძ ეს ღვთაებრივი სტრიქონები? როცა დიდი პოეტი სადღაც, მთებში ჩახვეულ უზადო „კრიმანჭულს“ ისმენდა, ერთი ხმა ალბათ ასკანიდანაც მოდიოდა, რადგანაც ამ მიწაზე დღემდეა შემორჩენილი სიმღერის მოტრფიალე ასკანელი ძმების სახელოვანი წინაპრების მარანი, რომელიც ანთიმოზ ჩხაიძემ დააარსა და ერთ-ერთ ქვევრზე ნათლად იკითხება – 1880 წელი.

მკითხველს შევახსენებთ, რომ დიდი გალაკტიონი ნამყოფია ასკანაში.

ამით ყველაფერია ნათქვამი.

ძმები ჩხაიძეებისთვის წინაპართა სახელი და ღვინის ხარისხი მუდამ თვალის ჩინივით გასაფრთხილებელია. ასე ვწერდით კიდეც სამიოდე თვის წინათ, მაგრამ ამ სამი თვის განმავლობაში „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ თავკაცი ზურაბ ჩხაიძე მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იყო მეღვინეობის დარგის საგანგებო სიმპოზიუმებსა და ბიზნეს-ფორუმებზე... ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში საქმიანი შეხვედრისას, დრო ვიხელთე და ორიოდე კითხვით მივმართე:

**– რაიმე ხელშესახები ხომ არ არის მსოფლიოს მასშტაბით თქვენი ბრენდის აღიარების თვალსაზრისით?**

– ვიცი, თქვენი გაზეთის გონიერ მკითხველს ესიამოვნება, რომ კომპანია მსოფლიო ბაზარზე თანმიმდევრულად იხვეჭს სახელს. ახლახან გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში „პროვაინის“ ცნობილ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე ჩვენმა ღვინოებმა სხვადასხვა ხარისხის, მათ შორის ოქროს ვარსკვლავები მოიპოვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიო სტანდარტებში ჩავჯექით, ეს იმას ნიშნავს, რომ ხარისხის სიმაღლე დაძლეულია და მხოლოდ წინ უნდა ვიხედებოდეთ!

**– დღევანდელ სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ თქვენს რჩეულ ღვინოებს ეტიკეტზე (თუნდაც შიდა მხრიდან) დაეწეროს: „რეკომენდებულია უხუცესთა საბჭოს მიერ“. დაეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

– რატომაც არა. ეს სიახლე იქნება და მომხმარებლის თვალში ჩვენს სანდოობას გაზრდის.

**– გმადლობთ. გისურვებთ წარმატებებს.**

* * *

**საგურამოში უხუცესთა საბჭოს მეორე სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ თამაზ ტყემალაძე (საბჭოს თავმჯდომარე), დავით მუსხელიშვილი (აკადემიკოსი), ელდარ ნადირაძე (პროფესორი), ბონდო კალანდაძე (მეღვინე-ტექნოლოგი, პროფესორი), ილია ფერაძე (პროფესორი), ვაჟა ქუთათელაძე (ბიზნესმენი), გივი ჭიჭინაძე, ზურაბ ლოლაძე (მომღერლები), მიშა ლოლაძე (ბიზნესმენი).**

სპარტაკ ქოგულია.

საგურამო-თბილისი.

**P. S. წლეულს „კახური ტრადიციული მეღვინეობის“ 10 წლისთავი აღინიშნება. ეს საკმაო დროა საიმისოდ, რომ ნაღდი ქართული ღვინო და „ქართული სული“ ხელიხელჩაკიდებულნი შეეხიდონ მრავალტანჯული საქართველოს აღორძინებას!**

**კომპანიის მთავარი საფიქრალიც ეს არის.**



ზურაბ ჩხაიძე წლევანდელი ფესტივალის გეგმაზე საუბრობს.



უხუცესთა საბჭოს წევრთა და სტუმართა სამახსოვრო კადრი ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში.

◎ რარიტეტები

# ისევ ვიქტორ ნოზაძის ნაწერების მოვლა-პატრონობის შესახებ

ამას წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის დურმიშხან ცინცაძის წერილი: „იქნებ მივაგნოთ ვიქტორ ნოზაძის წერილებსა და წიგნებს“, სადაც საუბარია ბატონი ვიქტორის მიერ საზღვარგარეთიდან ერთ ახლობელ ქალთან გამოგზავნილ ბარათებზე, რომლებიც მას თავისი თვალით უნახავს და არ ვიცით, სადმე ინახება თუ დაიკარგა ისინი (8 მარტი, 2011, № 43, გვ. 6ძ. უცნობია ბედი მეცნიერის იმ წიგნებისაც, რომლებსაც ის ისტორიის მუზეუმის გვერდით ოთახში ხედავდა. აქ აღძრული საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, იგი უნდა განზოგადდეს და ვიზრუნოთ მის მოსაგვარებლად.

ვიქტორ ნოზაძე იმდენად დიდი და მრავალმხრივი ქართველოლოგი მეცნიერ-მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე იყო, მის შესახებ ყველაფერი საინტერესო, გამოსავლინებელი და სამზეოზეა გამოსატანი. ამ მხრივ ცოტა არ არის გაკეთებული, მაგრამ გასაკეთებელიც კვლავ ბევრი რჩება.

დაუცხრომელმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწე გურამ შარაძემ უზარმაზარი შრომა გასწია, საერთოდ, საზღვარგარეთელ ემიგრანტთა, კერძოდ, ვიქტორ ნოზაძის, ლიტერატურული და მეცნიერული მემკვიდრეობის გამოვლენა-შეგროვების, საქართველოში ჩამოტანა-დაბინავებისა და ბევრი მათგანის პუბლიკაციის საქმეში. მანვე წამოიწყო ბატონი ვიქტორის თხზულებათა სრული კრებულის ავტომეულის გამოცემა. თბილისში მცხოვრებ ნოზაძეთა ერთი ჯგუფის მეშვეობით გამოსცა სამი რუსთველოლოგიური წიგნი: 1. **„ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“** (თბ., 2004ძ, რომელსაც ახლავს გ. შარაძის წინასიტყვაობა და ვ. ნოზაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგადი მიმოხილვა. ეს წიგნი ნახევარი საუკუნის წინათ, 1953 წელს, ბუენოს-აირესში იყო გამოქვეყნებული. 2. **„ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“** და **„ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება“** (თბ., 2005ძ, გამოცემული 1957 წ. სანტიაგო დე ჩილეში. 3. **„ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“** (თბ., 2006ძ. ესეც სანტიაგო დე ჩილეში იმავე 1957 წელს გამოვიდა.

ცნობილია, რომ ვ. ნოზაძეს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, ამათ გარდა, კიდევ აქვს სამი წიგნი: 1(4ძ. **„ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“** (სანტიაგო დე ჩილე, 1958ძ, 2(5ძ. **„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“** (პარიზი, 1963ძ და 3(6ძ. **„ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“** (პარიზი, 1975, გამოვიდა 1976 წ.ძ.

ისიც ცნობილია, ბატონ ვიქტორს ჩაფიქრებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსანზე“ სხვა წიგნებიც შეექმნა და საამისოდ მასალებს აგროვებდა (სულ — 11ძ. აქედან ორი მათგანი, რომლებიც გ. შარაძის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში ხელნაწერის სახითაა დაცული, დღის სინათლეზე გამოიტანა ბატონი გურამის ერთგულმა და ღირსეულმა მოწაფემ მანანა კვატაიამ: 1. **„ვეფხისტყაოსნის ფსიქოლოგიის მეტყველება“** (ლიტერატურული ძიებანი, XXXI, თბ., 2000, გვ. 459-477ძ, 2. **„სურათთა და შედარებათა სახენი (მეტაფორები)“** (რუსთველოლოგია, III, თბ., 2004, გვ. 174-199ძ.

რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი საჭირო და მნიშვნელოვანი ნაშრომი, რაც მეტი გამოვა, კარგი და მისასალმებელია. მაგრამ, როდესაც დღეს ასე გაძვირდა ცხოვრება და წიგნის ბეჭდვა ძალიან ჭირს, უმჯობესი იყო ბატონ ვიქტორის ნაშრომებიდან უპირველესად ის გამოგვეცა, რომლებიც



სპეციალისტებისთვისაც კი ნაკლებ ხელმისაწვდომია. ადრე, სანამ ჩვენში ვიქტორ ნოზაძეს აკრძალავდნენ, მისი სამეცნიერო წიგნების შეძენა ადვილად (დიახ, ადვილად!ძ შეიძლებოდა. მაგალითად, ლიტერატურის ინსტიტუტის დამწყებ, ახალგაზრდა თანამშრომლებს **„ვეფხისტყაოსნის განკითხვანის“** დასახელებული პირველი ოთხი წიგნი (ყველა, რაც მაშინ გამოსული იყოძ ბატონმა გაიოზ იმედაშვილმა 1962 წლის ოქტომბერში და შემდეგაც გრიგოლ რობაქიძის დის, ლიდას, მეშვეობით შეგვაძენინა. ვიყიდეთ ძალიან იაფად, იმ ფასად, რაც მაშინ ჩვენში გამოცემული წიგნები ღირდა.

იმ თაობისთვის, ვისაც სურდა, ეს რუსთველოლოგიური წიგნები ჰქონოდა, მაშინ ძნელი საშოვარი არ იყო და ბევრი მათგანის ოჯახებში ახლაც მოიპოვება. ყველა გვაქვს ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკაში. იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაშიც, მაგრამ შემდეგ ერთიანად განიავდა. **„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“**, სანამ გამაგდებდნენ, გვქონდა ამ ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებაშიც. კიდევ არის თუ არა, არ ვიცი. ასე რომ, დაინტერესებულ პირთათვის ბატონი ვიქტორის რუსთველოლოგიური ექვსტომეული ხელმიუწვდომელი არ არის.

მეორე, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: ვიქტორ ნოზაძის ნაშრომებიდან უმრავლესობა უღრმესი მეცნიერული გამოკვლევებია და მისი მარტო პუბლიკაცია საკმარისი არაა. ისინი ჩვეულებრივი საყოველთაო საკითხავი წიგნები არ გახლავთ, ყველა მათგანი ქართველოლოგთა სამაგიდო ნაშრომია და აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო მეცნიერული აპარატით. სახელდობრ, თითოეულს უნდა დაერთოს შენიშვნები, — როგორ დგას თანამედროვე მეცნიერებაში ესა თუ ის საკითხი, რომლებსაც ბატონი ვიქტორი განიხილავს. აკაკი შანიძისაგან ბევრჯერ გამიგონია, უსაძიებლოდ მეცნიერული ნაშრომის გამოცემა დანაშაულიაო. ეს კიდევ უფრო მეტად ითქმის ვიქტორ ნოზაძის გამოკვლევებზე. აუცილებელია, მათ დაერთოს პირთა, ეთნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა, აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ განხილულ სტროფთა საძიებლები. თუმცა ეს, განსაკუთრებით პირველი, ძნელი და შრომატევადი საქმეა, მაგრამ სრულფასოვანი გამოცემა უამისოდ ვერ იქნება. რადგან პირველი სამი ტომი უკვე დაბეჭდილია, არარაობას აჯობებს, მათი (პირველი სამისძ სამეცნიერო აპარატი მომდევნო ტომს დაემატოს. ბარემ აქვე ვიტყვით: უკეთესი იქნებოდა, ბატონი ვიქტორის ხსენებული რუსთველოლოგიური ექვსტომეული ფოტორეპროდუქციულად დაბეჭდილიყო. ასე უფრო იაფი დაჯდებოდა და, რაც მთავარია, გადავრჩებოდით იმ ლაფსუსებისაგან, რაც სამტომეულს ხელახალი აწყობის გამო ახლავს.

დასასრულ, იმის მაგალითად, თუ ჩვენში ვიქტორ ნოზაძის ზოგიერთი ნაშრომი რამდენად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, მის ერთ წიგნზე მოგახსენებთ.

ცნობილია (და ამას მისი ძმა გიორგიც ადასტურებსძ, ბატონი ვიქტორის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო — **„თამ. ჩილაია“**. გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში ხელთ მქონდა (ისე მახსოვს, ნოდარ ალანიამ მათხოვაძ და თავიდან ბოლომდე წავიკითხე ვ. ნოზაძის 1962 წელს ამ ფსევდონიმით პარიზში გამოცემული წიგნი **„საქართველოს საკითხი“**, საიდანაც ერთი მოსაზრება ამოვიწერე და რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევაც გამოვაქვეყნე. მაშინვე ვიცოდი და მივუთითე, რომ იგი ვიქტორ ნოზაძის წიგნი იყო (გაზ. „ერი“, 31 იანვარი, 1991, № 5, გვ. 15ძ.

ახლა მოვიკითხე ეს წიგნი და გაირკვა: თუმცა აკრძალული და საიდუმლო ფონდები აღარ არსებობს, არც ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას, არც ყოფილ წიგნის პალატას, არც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას იგი არ მოეპოვება. მოვიკითხე რამდენიმე ოჯახში, რომლებსაც ბატონ ვიქტორთან მიწერ-მოწერა ჰქონდათ, მაგრამ ის არც მათ აღმოაჩნდათ. გურამ შარაძეს ჩამოუტანია და არის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში. აქვე ვიტყვი: ვ. ნოზაძესთან წერილობითი კავშირი ჰქონდა გაიოზ იმედაშვილს, მაგრამ მიღებული ბარათები მასთან არ ჩანს. როგორც კობა იმედაშვილმა მითხრა, ბატონი გაიოზის არქივი, რომელიც მის ბინაზეა დაცული, რამდენიმეჯერ გაუძარცვავთ. წაუღიათ ხელნაწერი-დედნები. ახლახან ერთი ქურდისთვის შვიდი წლის პატიმრობაც მიუსჯიათ. თუ ბატონი ვიქტორის ბარათებიც ხელს გააყოლეს, მათ ისინი არაფრად გამოადგებათ და, ამჯერად კეთილი უნდა ინებონ, ჩვენს ხალხს არც ერთი მათგანი არ დაუკარგონ!

ჩვენს ძირითად სათქმელს რომ დავუბრუნდეთ, ცხადია, უპირველესად საჭიროა, ვიქტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი და ნაკლებად ხელმისაწვდომი ნაშრომები დაიბეჭდოს და დაიბეჭდოს სრული მეცნიერული სახით.

**ბორის დარჩია**

◎ როგორ ცხოვრობს სოფელი?

# ჩხოროწყუელებს და მუხურელებს ეს არ ეკადრებათ!

**„ჩვენ, ქალაქელებმა, არაფერი ვიცით მთის სოფლებსა და მათ მცხოვრებლებზე. ქალაქურ ხმაურიან ყოფას მიჩვეულნი, ვივიწყებთ სოფლის წყნარ რიტმებს, შემოდგომაზე მოსავლის აღებას, ზამთარში დასვენებას, ბუნების ყველა ციკლის მიბაძვას, ჩვენ მეტი ოქრო და ვერცხლი გვაქვს, ისინი კი სულით არიან მდიდრები. რასაც ჩვენ ვთესავთ, ვერ ვიმკით, ისინი კი იმკიან რასაც თესავენ. ჩვენ მოგების მონები ვართ, ისინი — კმაყოფილების შვილები“...** — ამბობდა ამერიკელი ფილოსოფოსი ხალილ ჯიბრანი. მაგრამ საალდგომოდ სოფელში ჩასულს სულ სხვა სურათი დამხვდა. მათი ცხოვრების ფიალაც აივსო შიშით, დაღლილობითა და მწუხარებით. გაცეცხლებული, გაგიჟებული ფასების ამარა პირისპირ დარჩენილებს, მხოლოდ უფალი თუ ეიმედებათ.



ჩხოროწყუს ცენტრში

**„მთლად ისე, როგორ გაგვწირავს გამჩენი, რომ ულუკმაპუროდ დავრჩეთ. სოფელში კი ვცხოვრობთ, მაგრამ ყველაფერს ვყიდულობთ. საოჯახო მეურნეობის გაძღოლას სახსრები სჭირდება. რაში უნდა გვეყოს პენსია, როცა ყოველთვიურად, ერთი ტომარა პურის ფქვილში მინიმუმ 60 ლარს ვიხდით. აღდგომა და ლხინი იმისთვისაა, ვისაც ფული აქვს, თორემ“...** — შემომჩივლა ალუმინის შეგროვებით გართულმა თანასოფლელმა. — **„როგორც ჩანს, მხოლოდ პურის ლოღნა მომიწევს“,** — ჩაილაპარაკა და გამჭოლი მზერით გახედა



გახარიების ძველი სახლ(მუზეუმი)

სასწორზე შემოდებულ პარკს.

ჩხოროწყუს რაიონსა და მის მიმდებარე სოფლებში საგაზაფხულო სამუშაოები — ხვნა, თესვა ზამთრის ძილს მისცემია და ჯერ თითქმის არაფერია გაკეთებული. ბევრისთვის დიზელის საწვავის 2,30 ლარად შეძენა ძვირზე ძვირი სიამოვნებაა. ამიტომ „ნაკლებშრომატევადი და სარფიანი“ თხილის გაშენებას ცდილობენ. საგაზაფხულო სამუშაოების შეჩერების ერთ-ერთი მიზეზი ტექნიკის უქონლობაცაა. მაგალითად, ბედის ანაბრად დარჩენილი 900-კომლიანი სოფელი მუხური (რომელსაც სხვა კურორტებზე არანაკლები ტურისტული შესაძლებლობებიც აქვსძ ერთ ძველისძველ, ნახევრად გაფუჭებული ტრაქტორს შეჰყურებს. მუშტარიანი ტრაქტორის გაწბილებული ფართობები კი შველას ითხოვს.

ჩვეული საალდგომო სტუმრიანობა წელს სოფელში ნაკლებად შეინიშნებოდა. უსახსრობის გამო ბევრი ვერ ჩამოვიდა. საფლავზე გასულთ მხოლოდ ადგილობრივებს თუ ნახავდით. ამბობენ, კრიზისიც დავძლიეთ და ინფლაციაც აღარ გვემუქრებაო, მაგრამ... ხალხს ხურდაც არ უჭყავის ჯიბეში...

**შეუძლებელია მუხურში იყო და არ მოინახულო ის სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ პოეტები: კაპიტონ** (მამაძ, **ზაურ და ლაშა გახარიები.** შენობის სახლ-მუზეუმად დადგენისთვის მხოლოდ საბუთებზე ხელის მოწერაღაა დარჩენილი. სახლი 150 წლისაა და ავარიულია. სახურავიდან უამინდობისას წყალი ღვარივით ჩამოდის. დარღვეულია ფუნდამენტი და გადახრილია კედლებიც. გახარიების სახლ-მუზეუმი დროულ მოვლა-პატრონობას საჭიროებს.

ლაშას ძმა ელგუჯა იმავე ეზოში ახალ, დაუმთავრებელ სახლში ცხოვრობს, მაგრამ ძველის რესტავრაციისთვის საჭირო სახსრები არ გააჩნია. სახლი სტუმრებს უკვე ველარ იღებს.

**სამწუხაროა, როცა XXI საუკუნეშიც თურმე შესაძლებელია, რომ გაუფრთხილებლობით, დაუდევრობითა და უნიათობით მომავალ თაობას, დავუკარგოთ ეროვნული განძი. რაიონში ჩამოსული სტუმრების თავმოსაწონად შარა-გზა ამ სახლამდეც ამოდის. არადა, როგორც გითხარით, უპატრონობისგან თვალსა და ხელს შუა სამარცხვინოდ ინგრევა გახარიების კოლორიტული და პოეტური ნავთსაყუდელი!**

**ხალხი იმედის თვალით აჰყურებს ნაკიან ზეცას და თავს იმ იმპერატორივით იმხნევებს, რომელიც ამბობდა: „ესეც ჩაივლის“...**

**სიტყვა ჩხოროწყუს გამგეობას და საკრებულოს ეკუთვნის. მუხურელებს სჯერათ, რომ საქართველოში გამორჩეული პოეტური ოჯახის ძველი ბუდე აღდგება, ჩვენი გულწრფელი კრიტიკა კი უკვალოდ არ ჩაივლის!**

**გულნაზ გახარია,**
ჩხოროწყუ-თბილისი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◉ რაც ყველას აინტერესებს

# რა მოუვიდა უსამა ბინ ლადენის ცხედარს?

**ცხედარი დასამარხად მოამზადეს ამერიკული ავიამზიდის „კარლ ვინსონის“ გემბანზე.**

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროები ამტკიცებენ, რომ გარდაცვლილი უსამა ბინ ლადენის ცხედარს პატივისცემით ეპყრობოდნენ და იგი ზღვაში ჩაუშვეს.

მაგრამ ზოგიერთი მუსლიმანი მიიჩნევს, რომ ამერიკის ოფიციალურ პირებს არ გააჩნდათ რაიმე მტკიცე საფუძველი, უარი ეთქვათ მის დაკრძალვაზე ხმელეთზე.

ისლამური ტრადიციების თანახმად, სხეული უნდა დაემარხათ რაც შეიძლება მალე, გამონაკლისები ხდება იმ შემთხვევაში, თუ გაკვეთა არის საჭირო.

ამერიკელი სამხედროების სიტყვებით, ისინი სერიოზულად მოეკიდნენ ისლამის ტრადიციებს და სხეული ზღვაში ჩაუშვეს ყველა აუცილებელი წეს-ჩვეულების დაცვით ბინ ლადენის გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში.

თეთრ სუდარაში შეხვეული სხეული მოათავსეს ტვირთიან ტომარაში, დააწვინეს ფიცარზე, დააწებეს და ჩაუშვეს არაბეთის ზღვის წყლებში.

ეს მოხდა გრინვიჩის დროით დილის 6 საათზე, იმ სახლში სროლიდან დაახლოებით 12 საათში, სადაც უსამა ბილ ლადენი იმალებოდა.

## პიროვნების იდენტიფიკაცია

**სპეციალური ოპერაციის დამთავრებიდანვე ბინ ლადენის ცხედარი გაგზავნეს ავღანეთში, რათა დაედასტურებინათ გარდაცვლილის პიროვნება.**

ბინ ლადენს სულ ცოტა ორჯერ ესროლეს – პირველი სროლით იგი მოკლეს, რის შემდეგაც მოხდა მეორე საკონტროლო გასროლა.

ამერიკის ხელისუფლება აცხადებს, რომ ავღანეთში სპეციალისტებმა აიღეს დნმ-ს ნიმუში, რომელიც დაემთხვა ბინ ლადენის ნათესავების დნმ-ს ნიმუშებს.

ზოგიერთი მონაცემებით, გამოიყენეს აგრეთვე სახის ამოცნობის სპეციალური ტექნოლოგია.

ავღანეთიდან ცხედარი „კარლ ვინსონის“ ავიამზიდის ბორტზე აიყვანეს.

„ოფიცერმა წაიკითხა წინასწარ მომზადებული გამოსათხოვარი ტექსტი, რომელიც შემდეგ ითარგმნა არაბულ ენაზე“, – განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა.

ბრიტანეთში მცხოვრებმა იმამმა აბდულჯალი საჯიდმა აღნიშნა, რომ დაკრძალვის დროს აუცილებელია შესრულდეს შემდეგი მოქმედებანი: სხეულის დაბანვა, მისი სუდარაში შეხვევა, სარიტუალო ლოცვის წაკითხვა და უშუალოდ დაკრძალვა.

როგორც საჯიდმა ბი-ბი-სის განუცხადა, იმამის ყოფნა ამ დროს სავალდებულო არ არის, მაგრამ ყველა პროცედურა უნდა შეასრულონ მუსლიმანებმა, რომელთაგანაც ერთ-ერთმა მაინც უნდა იცოდეს მუსლიმანური დაკრძალვის წესები.

ამჟამად უცნობია, იყო თუ არა ასეთი კაცი ავიამზიდის ბორტზე.

აბდულჯალი საჯიდი მიიჩნევს, რომ სხეულის ზღვაში ჩაშვება იქნებოდა გამართლებული, თუ კაცი გარდაიცვალა საზღვაო მოგზაურობის დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ისლამური წესების თვალსაზრისით, არანაირი აუცილებლობა მისი ამგვარი დაკრძალვისთვის არ არსებობდა.

## რატომ ზღვაში?

**იორდანიის უნივერსიტეტის მუსლიმანური სამართლის პროფესორი მოჰამედ კუდახი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ სხეულის ზღვაში ჩაშვება არ არის აკრძალული ისლამის კანონებით – იმ შემთხვევაში, თუ სხეულის მახლობლად არავინ იყო, ვისაც შეიძლო უზრუნველეყო მუსლიმანური დაკრძალვის ტრადიციები. დუბაის უმაღლესმა მუფტიამ ასოშიეიტედ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა აზრი, რომ მუსლიმანის სხეულის ზღვაში დაკრძალვა შეიძლება ნებადართული იყოს მხოლოდ საგანგებო ვითარებაში.**

რაც შეეხება ბინ ლადენის დაკრძალვას, მუფტიის აზრით, ის უნდა იყოს მეტად ჩვეულებრივი.

ამერიკელი ოფიციალური პირების თანახმად, გადაწყვეტილება ბინ ლადენის დამარხვის შესახებ ზღვაში მიღებული იყო ორი მიზეზით: ჯერ ერთი, მათ არ შეეძლოთ დაეშვათ, რომ საფლავი გარკვეული დროის შემდეგ გადაქცეულიყო თაყვანისცემის ადგილად. მეორეც, ამერიკელებს არ ჰქონდათ დრო, ეწარმოებინათ მოლაპარაკება სხვა ქვეყნებთან, რათა მოეწყოთ დაკრძალვა მათს ტერიტორიაზე.

ტელეარხ „სიბიეს ნიუსის“ მონაცემებით, საუდის არაბეთმა უარი განაცხადა ბინ ლადენის ცხედრის მიღებაზე. თუ ეს სიმართლეა, მაშასადამე ამერიკის შეერთებული შტატები რაღაც მოლაპარაკებას ბინ ლადენის სხეულის შესახებ მაინც აწარმოებდა.




## უკვდავი ბინ ლადენი?

**ბინ ლადენი, რასაკვირველია, ცოცხალია, რასაც უნდა ლაპარაკობდნენ ამერიკელები. რა დამადასტურებელი ცნობები არ წარმოადგინეს მათ, აღმოჩნდება ბევრი ხალხი, რომელიც მაინც არ დაიჯერებს „ალ-ქაიდის“ ლიდერის დაღუპვას, ვერაფერი და ვერავინ მათ ამაში ვერ დაარწმუნებს.**

ამავე დროს გამოჩნდებიან ჟურნალისტები, რომლებიც უამრავ უცნაურობებს, შეუსაბამოებებსა და დაპირისპირებებს აღმოაჩენენ, რაც ყოველთვის თან ახლავს ამგვარ მოვლენებს. ასე რომ, დასავლეთის საზოგადოებრიობის ნაწილს გაუჩნდება ეჭვი საკითხებში, რომლებიც სამუდამოდ უპასუხოდ დარჩებიან.

სტალინიც ვილაცის წარმოდგენაში შეცვლილი იყო ორეულით, ჰიტლერიც არ დაღუპულა ბერლინის ბუნკერში 1945 წელს, სადამ ჰუსეინიც დღემდე ხელმძღვანელობს ბაასის პარტიზანების მოქმედებებს თავისი საიდუმლო საფარიდან უდაბნოში – იგი იქ ამ ცოტა ხნის წინათ ვილაცამ საკუთარი თვალებით იხილა!

ყოველ შემთხვევაში ყველგან და ყოველთვის არის ფაქტები, რომლებიც მიუთითებენ საერთაშორისო შეთქმულებაზე და მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუებაზე.

შემდეგ აუცილებლად გამოჩნდებიან თვითმარქვიები, რომლებიც ბინ ლადენის სახით გააკეთებენ ყოველგვარ განცხადებებს და მოწოდებებს, ვილაც შეეცდება დაგვარწმუნოს, რომ ნახა იგი ცოცხალი და ჯანმრთელი: ან რომელიღაც გამოქვაბულში ან, ჩეჩნეთის მთებში, ან სუმატრის ჯუნგლებში. ეს ყოველივე სიმართლესავით გაიჟღერებს – მათთვის, ვისაც ამგვარი რამის დაჯერება სურს.

მაგრამ ერთია მოწყენილი დასავლელი ობივატელები და სრულიად სხვა – ალქაიდის ფანატიკური მიმდევრები. მათთვის ცოცხალი ბინ ლადენის რწმენა გახდება იდეოლოგიის უდიდესი ატრიბუტი. როგორც ჩვეულებრივად, ბევრი იქნება გაორების შემთხვევებიც – ერთი და იგივე ხალხი და ორგანიზაცია დაიწყებს შურისძიებას თავიანთი სულიერი ბელადის დაღუპვის გამო, ამავე დროს არ დაიჯერებენ მის სიკვდილს.

ფიდელ კასტრო, სხვათა შორის, ამტკიცებს, რომ თავად ბინ ლადენიც დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს („ცერეუს“-ქ ღრმად დაკონსპირირებული აგენტია.

## კარგი და ცუდი ახალი ამბები

**დასავლეთის გაზეთები წერენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისთვის ნატოს მხრიდან უკვე დიდი ხანია მთავარი თავის ტკივილი ეს ალ-ქაიდა კი არ არის, არამედ მეორე „ღერძი“, რომელსაც სათავეში უდგას ირანი და სადაც შედიან სირია, აგრეთვე ჰამასი და ჰესბოლა.**

მაგრამ ეს უკანასკნელი აერთიანებს ლიბანელ შიიტებს და მათი კავშირი ირანთან ბუნებრივად გამოიყურება. სხვა საქმეა ჰამასი – გამოყოფილი ძველი მშობელი „მუსლიმანი ძმების“ ფილიალიდან, ესე იგი, რადიკალური სუნიტური ისლამისტი სალაფიტები.

მათთვის შიიტები ყოველთვის იყვნენ რწმენის მოღალატეები, ერეტიკოსები და გამყიდველები. ირანში მოკლული ახალი სალაფიზმის ლიდერი და თეორეტიკოსი აბუ მუსად ზარკავი თავის შრომებში ყურადღებას ამახვილებდა ზიზღზე შიიტების მისამართით, რომლებსაც იგი „გველებსა და ქვეწარმავლებს“, „ტურებს“, და ა.შ. უწოდებდა. ის ქადაგებდა, რომ „ჭეშმარიტი მუსლიმანისთვის“ შიიტი ქრისტიანზე და ებრაელზეც კი უარესიაო.

მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორ შეიძლება ჰამასის სალაფიტური ორგანიზაცია გამოვიდეს შიიტური ირანის პარტნიორისა და კლიენტის როლში? თუ ჩვენ ვართ ახალი პანისლამიზმის წარმოქმნის მოწმეები, რომლისთვისაც ისლამის ამა თუ იმ განშტოებაზე მიკუთვნებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა? თუ ეს ასეა, მაშინ ეს მეტად ცუდი ახალი ამბავია დასავლეთისთვის...

მაგრამ არის კარგი ახალი ამბავიც. უკანასკნელმა მოვლენებმა არაბულ სამყაროში გვიჩვენეს, რომ ისტორიული განვითარება ამ რეგიონში ჩქარდება. ფურცელი უფრო მალე იშლება, ვიდრე ამის მოლოდინი შეიძლებოდა გვქონოდა. გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე სპეციალისტები ვარაუდობდნენ, მებრძოლი ანტიდასავლური ისლამიზმი იწყებს მოედიდან გამოსვლას – უკიდურეს შემთხვევაში ქალაქის განათლებულ ახალგაზრდობას შორის.

ეს უკანასკნელი ხომ გამოვიდა არაბული პოლიტიკის ავანსცენაზე, სწორედ იგი იძლევა ტონს არაბულ სამყაროში საპროტესტო მოძრაობებში. მიაქციეთ ყურადღება: კაიროს ტახრირის მოედანზე პრაქტიკულად არ ყოფილა ისლამისტური ლოზუნგები. ლიბიაში – კადაფის რეჟიმი ცდილობს, თავი შეაფაროს ისლამის მწვანე ფერებს, მეამბოხეები კი აღმართავენ თითქოსდა უკვე ლიკვიდირებული ლიბიური სამეფოს დროშებს.

მნიშვნელოვანი სიგნალი მიეწოდა მუსლიმანების ახალ თაობას, რომლებიც ცხოვრობენ დასავლეთში და წყვეტენ თავიანთთვის ეგზისტენციურ საკითხს: უნდა ისწრაფოდნენ თუ არა ისინი ინტეგრაციისკენ ირგვლივ მყოფ საზოგადოებასთან, თუ შეუერთდნენ დამანგრევლებს.

BBC RUSSIAN.com

# მოკლედ

## ტერორისტთა კონტრზომები რა დოზის იქნება?

**ექსპერტი** უსაფრთხოების საკითხებში **ირაკლი სესიაშვილი** ნომერ პირველი ტერორისტის ბინ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ დასავლეთში ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან კონტრზომების მიღებას პროგნოზირებს.

როგორც „პირველს“ სესიაშვილმა განუცხადა, „ტერორისტული ორგანიზაციები უახლოეს მომავალში ამოქმედდებიან, შესაბამისად, სახელმწიფოებმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ“.

„ბინ ლადენი უბრალო ფიგურა არ გახლავთ. მსოფლიო, შეიძლება, ითქვას, ორ ნაწილად არის გაყოფილი. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტები, როგორიც არის ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ასე შემდეგ. იმ ვითარებაში, როდესაც ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში ასეთი რთული პროცესები მიმდინარეობს, ცხადია, ბინ ლადენის სიკვდილი უკვალოდ არ ჩაივლის. უახლოეს მომავალში დასავლეთი ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან გარკვეულ გამოწვევას უნდა ელოდოს და სხვადასხვა სახელმწიფოებმა მაქსიმალური სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რამდენადაც ტერორისტული ორგანიზაციები გარკვეულ კონტრზომებს მიიღებენ“, – განუცხადა „პირველს“ სესიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ნომერი პირველი ტერორისტი უსამა ბინ ლადენი ამერიკელმა სამხედროებმა პაკისტანში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოკლეს.

## ზურაბ აბაშიძე: შესუსტდა თუ არა რეალურად ალ-ქაიდა, მომავალი გვიჩვენებს

**პოლიტოლოგ ზურაბ აბაშიძის აზრით,** ნომერ პირველ ტერორისტ ბინ ლადენის ლიკვიდაცია „სერიოზული პოლიტიკური წარმატებაა, თუმცა რამდენად მნიშვნელოვანია მისი ლიკვიდაცია ტერორიზმის საბოლოო დამარცხების თვალსაზრისით, მომავალი გვიჩვენებს“.

როგორც „პირველს“ აბაშიძემ განუცხადა, ალ-ქაიდა ჰორიზონტალური ქსელია, რომელშიც ყველა ავტონომიურად მოქმედებს და არ არის გამორიცხული, ამ ტერორისტულ ორგანიზაციაში ახალი ლიდერი გამოჩნდეს“.

„რეალურად, ბინ ლადენის ფუნქცია ცნობილი არ არის და ძნელი სათქმელია, რამდენად შეასუსტებს მისი ლიკვიდაცია ამ ორგანიზაციას“.

„ეს არ იყო ისეთი ორგანიზაცია, რომელიც რაღაც ვერტიკალზე იყო ჩამოკიდებული. ალ-ქაიდას უფრო ქსელის სახე აქვს. ეს არის ჰორიზონტალური ქსელი, რომელშიც ყველა ავტონომიურად მოქმედებს. ამიტომ ბინ ლადენის ფიგურა უფრო სიმბოლური შეიძლება ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მისი ლიკვიდაცია უფრო პოლიტიკური წარმატებაა, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული დარტყმა მიაყენა ალ-ქაიდას, მაგრამ რამდენად რეალურად შეასუსტებს ბინ ლადენის ლიკვიდაცია ამ ორგანიზაციას, მომავალი გვიჩვენებს იმის მიხედვით, თუ რა რეაქცია ექნება ამაზე ალ-ქაიდას, – განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

ხათუნა გაგნიძე.
პირველი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 82. ოთხშაბათი, 4 მაისი, 2011 წელი.

## №1 ტერორისტი

**რამდენიმე წლის განმავლობაში „ნომერ პირველი საერთაშორისო ტერორისტი“ უსამა ბინ ლადენი პირველი იყო „ეფ-ბი-აი“-ის მიერ ყოველწლიურად შედგენილი „ტოპ-ტერორისტების“ ათეულის ნუსხაში.**

მისი დაჭერისათვის აშშ-ს სპეცსამსახურებმა ჯერ 5 მილიონი აშშ დოლარი დააწესეს, შემდეგ კი „მის ფასი“ 1 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

2011 წლის 1 მაისს „ნომერ პირველი საერთაშორისო ტერორისტი“ უსამა ბინ ლადენი აშშ-ის სპეცსამსახურებმა პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადთან ახლოს მოკლეს.

„ნომერ პირველი საერთაშორისო ტერორისტი“ უსამა ბინ ლადენი 1957 წლის 28 ივნისს საუდის არაბეთის ქალაქ ერ-რიადში დაიბადა. იგი ოჯახში მე-17 ბავშვი იყო, 52-დან ერთ-ერთი. მამამისი მუჰამედ ბენ ლადენი მშენებლობის მაგნატი იყო და მას რამდენიმე ცოლი ჰყავდა. ბინ ლადენის დედა მამამისის მე-10 ცოლი იყო და უსამა კი მისი ერთადერთი შვილი.

80-იანი წლების ბოლოს უსამა ბინ ლადენს მამამისის ქონებიდან მემკვიდრეობით 150 მილიონი ერგო. მის მამას 1931 წელს შექმნილი სამშენებლო იმპერია „Saudi ben Laden Group“-ი ეკუთვნოდა. მუჰამედ ბენ ლადენმა სამშენებლო იმპერიის შექმნამდე გაიარა გზა შავი მუშიდან კომპანიის მფლობელამდე. სიმდიდრემ და ტაქტის ერთგულებამ მას საშუალება მისცა მჭიდრო კავშირი დაემყარებინა სამეფო ოჯახთან. ამჟამად მისი ქონება 100 მილიონიდან 5 მილიარდ აშშ დოლარამდე ფასდება. გარდა იმისა, რომ უსამა ბინ ლადენს მამისაგან მემკვიდრეობად ერგო, მთელი მისი ფული, მას ასევე ერგო მრავალი ფირმა მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტზე სუდანის „Gum Arabik Compani Ltd“-ს ჩათვლით, რომელიც მსოფლიოში კაუჩუკის 80 % აწარმოებს.

უსამა ბინ ლადენის კუთვნილი თანხის უმრავლესობა ამჟამად დასავლეთ ევროპაში სხვადასხვა ადამიანების ანგარიშებზეა და ასევე დამალული უამრავი სხვადასხვა საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის ფონდებში.

ბინ ლადენი ეხმარებოდა თალიბებს ფულის გათეთრებაში. სანაცვლოდ კი ავღანური ნარკოვაჭრობისაგან 2 დან 10 %-მდე იღებდა – ეს არის დაახლოებით 1 მილიარდ აშშ დოლარამდე წელიწადში.

1979 წელს უსამა ბინ ლადენმა ჯიდაში მეფე აბდელ აზიზის სახელობის უნივერსიტეტში ეკონომიკისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი დაამთავრა.

რელიგიამ იგი ახალგაზრდობაში გაიტაცა მექის და მედინას მონახულების შემდეგ. 1979 წელს ბინ ლადენი ავღანეთში გაემგზავრა, იმისათვის რათა საბჭოთა არმიის წინააღმდეგ წარმოებულ ჯიჰადში მონაწილეობა მიეღო.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს მან თვალი დაკარგა. ბინ ლადენი ვაჰაბიზმის მიმდევარი იყო – ეს ისლამის ფუნდამენტალური განშტოებაა. ბრძოლის მიზნად მან დაისახა „სამართლიანი ისლამური სახელმწიფოების შექმნა, რომლებიც თავისუფალნი იქნებოდნენ დასავლეთის გავლენისაგან“. ისლამის მტრად იგი უპირველეს ყოვლისად აშშ-ს, ისრაელს და მის მოკავშირეებს მიიჩნევდა.

80-იანი წლების დასაწყისში მან პალესტინელ აბდალა აზაზთან ერთად, რომელიც ორგანიზაცია „მუსლიმანური საძმოს“ წევრი იყო მომსახურების ბიურო „მაკდალ-აკ-ჰადამატ“-ი შექმნა და დაკავებული იყო ბოევიკებისა და ფულის გადაყვანა-გადარიცხვით ავღანური წინააღმდეგობისათვის. ამ ბიურომ გადაბირების ცენტრები გახსნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, კერძოდ აშშ-ში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, პაკისტანში, სულ 50 ქვეყანაში და ადამიანებს საბჭოთა კავშირთან ბრძოლისათვის აგზავნიდა.

ბიუროს ჰქონდა თავისი ბოევიკების მომზადების ბანაკი ავღანეთსა და პაკისტანში. რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, ამ პერიოდში ბინ ლადენი აშშ-ს სპეცსამსახურების დახმარებითაც სარგებლობდა.

1989 წელს ბინ ლადენი ოჯახურ სამშენებლო ბიზნესს დაუბრუნდა, მაგრამ მისი ორგანიზაცია აგრძელებდა საუდის არაბეთსა და იემენში ოპოზიციური მოძრაობების მხარდაჭერას.

ბინ ლადენის ანტისამთავრობო მოღვაწეობამ 1991 წელს საუდის არაბეთის ხელისუფლება აიძულა იგი საუდის ქვეყნი-

# უსამა ბინ ლადენის აღზევება და დაცემა



დან გაეძევებინათ. ბინ ლადენი საცხოვრებლად სუდანში გადავიდა.

1996 წლის 23 აგვისტოს უსამა ბინ ლადენმა პირველად განაცხადა, რომ თითოეული მუსლიმანის წმინდა ვალია საზღვარგარეთ ამერიკელი სამხედროების განადგურება. მეორედ 1998 წელს მან განაცხადა, რომ „ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების, როგორც სამხედროების ისე სამოქალაქო პირების მკვლელობა თითოეული მუსლიმანის ვალია“.

1996 წელს სუდანმა გააძევა ბინ ლადენი, ძირითადად აშშ-ის მოთხოვნებისა და გაეროს რეზოლუციით სანქციების მიღების პასუხად, რომელთა მიხედვითაც სუდანის ხელისუფლება მონაწილეობდა ეგვიპტის პრეზიდენტზე ჰოსნი მუბარაქზე 1995 წელს ეთიოპიაში განხორციელებულ თავდასხმაში. ერთი თვის შემდეგ ბინ ლადენი ავღანეთში დაფუძნდა და თავისი ექსტრემისტული საქმიანობა განაგრძო.

1998 წლის 28 მაისს ბინ ლადენმა „ებრაელებთან და ჯვაროსნებთან საღვთო ბრძოლის ისლამური ფრონტის გახსნის“ შესახებ განცხადება გააკეთა. ეს იყო ორგანიზაცია, ჯგუფების გაერთიანება, რომელიც დასავლურ დემოკრატიებს, უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ს მთავარ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ განიხილავდა. მათი საქმიანობა მიმართული იყო არსებული საერთაშორისო წესრიგის წინააღმდეგ და მასში უმთავრესი ადგილი ისლამს ეკავა. ისინი უარყოფდნენ არსებული რეჟიმების ლეგიტიმურობას მუსლიმანურ ქვეყნებში, და რა თქმა უნდა, მათი მიზანი იყო აშშ-სათვის ისეთივე დარტყმის მიყენება, როგორიც თავის დროზე ავღანეთში საბჭოთა კავშირს მიადგა. ბინ ლადენის ამ ორგანიზაციას რამდენიმე ისლამური მოძრაობა შეუერთდა, მათ შორის „ეგვიპტური ისლამური ჯიჰადი“. თუმცა ეს ალიანსი არამყარი გამოდგა. სულ უფრო ხშირად საუბრობენ ბინ ლადენის მეორე ორგანიზაციაზე ალ-ქაიდაზე, რომელიც „საფუძველს“ ნიშნავს. აღსანიშნავია ისიც, რომ ალ-ქაიდასა და ბინ ლადენს შორის ურთიერთობა, დღესაც ბოლომდე გარკვეული არ არის.

ალ-ქაიდა პირველად 1988 წელს გამოჩნდა და შესაძლოა ეს დასახელება ბინ ლადენის ერთ ერთი სახლის დასახელებისგან წამოვიდა, სადაც ავღანეთში მიმავალი მოჯაჰედების რეგისტრაცია ხდებოდა. ამ სარეგისტრაციო ჩანაწერების მეშვეობით, ბინ ლადენს მსოფლიოს ყველა წერტილში მყოფ ბოევიკებთან „ისლამის მებრძოლებთან“ კავშირი ჰქონდა.

რაც შეეხება „მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის“ პირად ცხოვრებას – 70-იანი წლების შუა წლებში ბინ ლადენი თავის ნათესავზე დაქორწინდა. მოგვიანებით მან კიდევ სამი ქალი მოიყვანა ცოლად. სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით 12-დან 24-მდე შვილი ჰყავს.

ბინ ლადენი ეჭვმიტანილია მთელი რიგი ტერაქტების განხორციელებაშიც.

აშშ-ში 1993 წელს 26 თებერვალს საერთაშორისო სავაჭრო ცენტრში აფეთქება მოხდა. მანამდე ამ მასშტაბის აფეთქება აშშ-ის ტერიტორიაზე არ განხორციელებულა. დაიღუპა 6 ადამიანი და დაახლოებით 1000 დაიჭრა. 1994 წელს ამ აფეთქების ოთხი ორგანიზატორი დააკავეს და თითოეულს 240 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

1995 წლის 13 ნოემბერს საუდის არაბეთში, ნაციონალური გვარდიის საწვრთნელ ბაზასთან ახლოს, ავტომობილი აფეთქდა. დაიღუპა 5 ამერიკელი და 2 ინდოელი, დაიჭრა 60 ადამიანი, რომელთა შორის 34 ამერიკელი იყო.

1996 წელს დაჰრანში იერიშის სამიზნედ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზები იქცა: 19 ადამიანი გარდაიცვალა და 300 დაიჭრა. დარტყმა მიყენებული იყო სატვირთო ავტომობილის მეშვეობით, აფეთქების ადგილზე 10-მეტრიანი კრატერი გაჩნდა, 5 კილომეტრის რადიუსში კი სახლები დაზიანდა.

ამის შემდეგ, 1997 წელს, ზამთარში, ეგვიპტეში, ლუქსორის ტაძარში ევროპელ ტურისტთა ექსკურსია დაცხრილეს. ბინ ლადენმა „სახელი გაითქვა“ ასევე 1998 წელს აგვისტოში კენიასა და ტანზანიაში აშშ-ის საელჩოების აფეთქებით, რომელთა შედეგადაც დაიღუპა 257 ადამიანი, მათ შორის 12 ამერიკელი და 5 ათასი დაიჭრა.

2000 წლის ნოემბერში ამერიკულ გემ „კოული“-ზე მომხდარი აფეთქების გამოძიება ადასტურებს, რომ კვალი ბინ ლადენთან მიდის.

ყოველივე ამის შემდეგ აშშ-ის სპეცსამსახურებმა ბინ ლადენი „მსოფლიოს ნომერ პირველ ტერორისტად“ გამოაცხადეს.

2001 წლის 11 სექტემბერს ვაშინგტონში ასევე ბინ ლადენის მიერ ორგანიზებული ტერაქტის დროს სამი ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა.

დაახლოებით 10 წლის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა ბინ ლადენის ლიკვიდაციისა, თუმცა ყველა მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა.

2011 წლის 1 მაისს „მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის“ ლიკვიდაციის ოპერაცია წარმატებით დასრულდა.

## სოლიდარობა იაპონიას

# რისკების გეოგრაფია: იაპონიიდან საქართველომდე

**საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ იაპონიაში ბუნებრივი კატასტროფის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „რისკების გეოგრაფია: იაპონიიდან საქართველომდე“ გაიმართა.**

კონფერენციას ესწრებოდნენ: იაპონიის ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა, ქართველი მეცნიერები, რომლებმაც იაპონიის კატასტროფაზე და საქართველოს სეისმოლოგიურ რეგიონებზე ისაუბრეს.

იაპონიის ელჩმა მადლობა გადაუხადა საქართველოს თანადგომისთვის. **„კატასტროფის პირველივე დღიდან ვგრძნობდი თქვენს მხარდაჭერას. მე შევხვდი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს და მან მითხრა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ჩვენს დასახმარებლად. საელჩოში სხვადასხვა დაწესებულებიდან მოდიოდნენ და მწუხარებას გამოთქვამდნენ. ზუგდიდიდანაც კი ჩამოვიდნენ. უწმინდესი და უნეტარესი ილია II გვესტუმრა და გამოხატა პირადი თანადგომა. საქართველოს მთავრობამ 1 მილიონი დოლარი შეწირა იაპონიის „წითელ ჯვარს“.**

**„ჩვენ 30 წლის განმავლობაში ველოდით, რომ იაპონიაში კატასტროფული მიწისძვრა მოხდებოდა და ცუნამის საწინააღმდეგო 10-მეტრიანი კედლები გავაკეთეთ, თუმცა ასეთი სიმაღლეს არ ველოდით. ამ დროისთვის 14.500-მდე მსხვერპლია, 11 300 დაკარგულად ითვლება. იაპონიის აღდგინებას 7 წელი დასჭირდება. 20 წლის განმავლობაში ჩვენი ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში იყო. სოფლის მეურნეობაში გვქონდა ჩავარდნები. იაპონიას უნარი აქვს საოცრება მოახდინოს, რომელსაც მსოფლიო მისგან მოელის და წარმატებას მიაღწიოს“,** – განაცხადა კამოჰარამ.

ამ დროისთვის იაპონიის მთავარ მიზნად რადიაქტიური სადგურის გაცივება რჩება. როგორც ელჩმა აღნიშნა, 7-8 თვე დასჭირდებათ, რათა სადგური კონტროლს დაექვემდებაროს.

იაპონიის სოლიდარობასთან დაკავშირებით გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, პროფესორი რევაზ გაჩეჩილაძე გვესაუბრა, **„საქართველომ გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. 1 მილიონი დოლარის გარდა გავაგზავნეთ სასმელი წყალი, ჩვენ გვიკვირს, თუ როგორი დისციპლინით ხვდებიან იაპონელები კატასტროფას. ეს ბევრი ქვეყნისთვის მაგალითია. იაპონია შეძლებს გაძლიერებას.**

**ჩვენ ყველა ქვეყანასთან მეგობრობა და თანამშრომლობა გვინდა. საქართველოს არავისთან არ უნდა მტრობა“,** – განაცხადა მან.

იაპონელებისთვის საქართველოს დახმარება არ ყოფილა გადამწყვეტი. თუმცა ეს იყო თანადგომის გამოხატულება, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას.

იაპონიას, მართლაც, სჭირდება მსოფლიოს დახმარება და თანადგომა. ეს არის ერი, რომელიც დამარცხებას არ ეგუება და შეძლებს კიდეც გაძლიერებას...

**ხატია ცარციძე**

## ინფორმაცია

### გურიაში უცხოელ მასწავლებლებს ძარცვავენ

**ოზურგეთში**, კოსტავას ქუჩაზე მდებარე ბინიდან, რომელიც პოლონელ პედაგოგებს ნაქირავები ჰქონდათ, „ნოუთ ბუქი“, ფული და მათი პირადი ნივთებია წაღებული.

პოლონელი მოხალისეები ოზურგეთში უკვე წელიწადზე მეტია ცხოვრობენ.

ბოლო ორი თვის განმავლობაში გურიაში ეს ევროპელი მოხალისეების ძარცვის მეორე შემთხვევაა. პირველ შემთხვევაში სამართალდამცველებმა ქურდი დააკავეს.

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

◎ ჩოგბურთი

# ანა ტატიშვილის წარმატება



**საქართველოს პირველმა ჩოგანოსანმა ანა ტატიშვილმა საფრანგეთის ქალაქ კან სურ მერში დაწყებული საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარიძ პირველი რაუნდი დამაჯერებლად დასძლია. საწყის შეხვედრაში, ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTAძ რეიტინგში 105-ე ადგილზე მყოფი ტატიშვილი, მე-8 ნომრად განთესილ ბრიტანელ ენ კეოტავონგს (107-ეძ დაუპირისპირდა და იოლად გაუმკლავდა – 6:3, 6:4.**

მერვედფინალში 21 წლის ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე, რუმინელი კირსტეასა (102-ეძ და კვალიფიკაციის ერთ-ერთი გამარჯვებულის – სლოვენიელი კლეპაჩის (260-ეძ დაპირისპირებაში გამარჯვებულია. ეს შეხვედრა გუშინ გვიან გაიმართა.

წყვილთა გათამაშების პირველ რაუნდში, ტატიშვილი და რუსი სავინიხი იტალიელ კამერინსა და ფრანგ ფორეც გაკონს დაუპირისპირდებიან.

აქვე დავძენთ, რომ შარშან ქართველ ჩოგბურთელს კან სურ მერის ტურნირზე არ უთამაშია, ამდენად, მას მიმდინარე კვირაში რეიტინგში დაწინაურებისა და მოწინავე ასეულში შესვლის კარგი შანსი აქვს.

◎ ფეხბურთი

## ტოტალიზატორების სკანდალში გახვეულნი კლუბებიდან გააძევეს



**ტოტალიზატორის სკანდალში გახვეული ფეხბურთელები საკუთარი კლუბებიდან გააძევეს. ზუგდიდის „ბაიამ“ საკუთარი კლუბის რიგები ფეხბურთელ ლევან ვირთაგავასა და გუნდის კაპიტან როინ ონიანს დაატოვებინა, „სამტრედიამ“ – კაპიტანს სპარტაკ გოგიასა და ფეხბურთელ კახაბერ კირთაძეს, ხოლო „ვიტ ჯორჯიამ“ კლუბიდან გიგა ბეჭვაია დაითხოვა.**

◎ ჭადრაკი

# გაგუნაშვილმა და მჭედლიშვილმა იყოჩაღეს



**აზერბაიჯანის ქალაქ ნახიჭევანში დასრულებული მასშტაბური საჭადრაკო ტურნირის გამარჯვებული უკრაინელი ანტონ კორობოვი (2647ძ გახდა, რომელმაც ცხრა ტურში 7.0 ქულა მოაგროვა და საპრიზო 60 ათასიდან 10 ათასი დოლარი მიიღო.**

ტურნირს, რომელიც აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელობის გახლდათ, ქართველი მონაწილეებიც მრავლად ჰყავდა. მათგან საუკეთესო შედეგი (5.5ძ **მერაბ გაგუნაშვილმა** (2599ძ და **მიხეილ მჭედლიშვილმა** (2629ძ აჩვენეს. შესაბამისად, მათ მე-14 და მე-16 ადგილები დაიკავეს.

**სხვათა შედეგები ასეთი გახლავთ:** 18. **დავით ბენიძე** (2503ძ – 5.0; 23. **კონსტანტინე შანავა** (2560ძ – 5.0; 32. **სოფიკო გურამიშვილი** (2334ძ – 4.0; 34. **ალექსანდრე ქაშაშვილი** (2329ძ – 4.0; 46. **აკაკი შალამბერიძე** (2360ძ – 3.5;

ტურნირის B ჯგუფში მოთამაშე ერთადერთმა ქართველმა მოჭადრაკე **ნინო იმნაძემ** (1766ძ 5.5 ქულა მოაგროვა და 32-ე საფეხურს დასჯერდა.

◎ სკანდალი

# „ბომბი“ ფრანგულ ფეხბურთში

**ფრანგულმა ინტერნეტ-საიტმა Mediapart, ჟურნალისტურ გამოძიებაზე რომ სპეციალდება, „ბომბი“ ააფეთქა, როდესად დაიწყო იმის მტკიცება, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს, მომზადების ცენტრებში შეიტანოს კანის ფერზე დამოკიდებული დისკრიმინაციული კვოტები.**

ეროვნული ფეხბურთის ხელმძღვანელი სტრუქტურებისთვის საკითხი გადაწყვეტილია. „ფეხბურთის მინდვრებზე გამოდის ძალზე ბევრი შავკანიანი და არაბი ფეხბურთელი, თეთრები კი აკლიათო“ – აღნიშნულია ინტერნეტ-რესურსში. მისი მონაცემებით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია, ფეხბურთის ეროვნული ტექნიკური დირექცია (DTNძ, რომელიც საერთო პოლიტიკას გამოიმუშავებს და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლორან ბლანი „სრული საიდუმლოების ვითარებაში შეთანხმდნენ წლის დასაწყისიდან გაუხმაურებელი კვოტების შემოღების შესახებ, რათა განისაზღვროს პროფესიონალურ კლუბებში აფრიკული წარმოშობის ფეხბურთელთა რაოდენობა. მომზადების პროცესებიდან გაუშვან 12-13 წლის მოზარდები. შესაბამისი მითითება უკვე მისცეს მომზადების ცენტრებს, კლერფონტანეს ჩათვლით, სადაც მატჩებისთვის ემზადება ეროვნული ნაკრები.

ყველა „ბრალდებული“ კატეგორიულად უარყოფს ამ მტკიცებას. მათ მხარი დაუჭირეს ზოგიერთი კლუბის, კერძოდ „მონპელიესა“ და „ჰავრის“ წარ-



მომადგენლებმა. ისინი ინტერნეტ-საიტს სასამართლოთაც კი დაემუქრნენ და მაინც გამოძიების ერთ-ერთმა ავტორმა ფაბრის არფიმ, რადიოსადგურ RTL-ის მოხმობით განაცხადა, რომ ფაქტები ნამდვილია და ახალ მხილებებსაც დაჰპირდა. მან ისიც თქვა, რომ ჯერ კიდევ ნოემბერში თათბირზე ბლანის მონაწილეობით, გამოითქვა მოსაზრება რასობრივი უმცირესობებისთვის 30-პროცენტიანი კვოტის დაწესების თაობაზე.

ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრი შანტალ ჟუანო აპირებს სამსახურებრივი გამოძიების დაწყებას, რადგან დისკრიმინაციული კვოტების შემოღება ეწინააღმდეგება საფრანგეთის კონსტიტუციას.

◎ ინტერნეტიდან

## „თოვლის დედოფალი“ გახდა

**ამ ცოტა ხნის წინათ, ბუქარესტის „დინამოს“ მცველი კრისტიან პულიაცი, ახლა ესპანურ „ჰერკულესში“ არენდით რომ თამაშობს, თავის გულის ვარდს – მარიას გაშორდა. თუმცა ლამაზმანმა რუმინელი ჟურნალისტების გული მოინადირა. მათ გადაწყვიტეს თვალი მიადევნონ მის შემდგომ ცხოვრებას და არცთუ ცოტა საინტერესო მომენტებს მიაგნეს.**

მარია ბუქარესტში დაბადებულა 1984 წელს, კოლეჯი მიატოვა და ბენზინგასამართ პუნქტში მუშაობდა. ყველას აინტერესებს, თუ როგორ შოულობდა ფულს არსებობისთვის. თურმე ყველაფერი იოლად გადაწყვიტა – ის პორნოინდუსტრიაში ჩაბმულა. ვინაიდან რუმინეთში ასეთი „ბიზნესი“ არც თუ დიდად განვითარებული ყოფილა, „ლამაზმანს სამშობლოც და კრისტიანიც, სახლიცა და სამუშაოც მიუტოვებია და უნგრეთში გადასულა, სადაც დღემდე ცხოვრობს, ის ახალ ადგილს ფსევდონიმით Ice Queen მუშაობს. საწყენია, რომ არ ვიცით, იცოდა თუ არა კრისტიანმა თავისი გულის ვარდის საქმიანობის შესახებ. სწორედ ეს ხომ არ გახდა „თოვლის დედოფალთან“ განშორების მიზეზი?



## 52 დარტყმა მოიგერია

**ჰოკეის ნაციონალური ლიგის კლუბის „ბოსტონ ბრიუინსის“ მეკარემ ტიმ ტომასმა სტენლის თასის მეოთხედფინალში „ფილადელფია ფლაიერთან“ შეხვედრაში მოიგერია 52 შაიბა.** შეხვედრა ფრედ 2:2 მთავრდებოდა, მაგრამ ოვერტაიმში „ბოსტონის“ ფორვარდმა დავიდ კრეიჩმა იმარჯვა და გუნდს გამარჯვება მოუტანა. ახლა ოთხი გამარჯვებულის სერიაში წინ „ბოსტონია“ – 2:0.



# დიეგო მარადონა და მესი





**ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა, ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა დიეგო მარადონამ ერთხელ კიდევ შეადარა თავი „ბარსელონას“ ახლანდელ თავდამხსმელს ლიონელ მესის.**

„ჩვენ ორივემ შევძელით ევროპული ფეხბურთის დაპყრობა, მაგრამ მაინც მხოლოდ მისი კარიერის ბოლოს შეიძლება იმის გადაწყვეტა, თუ ვინ იყო უკეთესი – მე თუ ის. ახლა კი დაბეჯითებით შემიძლია ერთის თქმა: რას ფიქრობს პელე, როდესაც ფეხბურთის ისტორიის მწვერვალზე იმყოფება ორი არგენტინელი!“

◎ კონფლიქტი

# მწვრთნელი – არასასურველი პირი

**ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს სომხეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ერევნის „არარატის“ მთავარი მწვრთნელის არკადი ანდრეასიანის მიმართ, მის მიერ დაშვებული ხულიგნობისა და სისტემატური არასპორტული საქციელისთვის.** ამავე დროს გადაწყვიტეს არკადი ანდრეასიანის დისკვალიფიკაცია 10 თამაშით, ხოლო „არარატის“ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს



არტემ არზუმანიანს დისკვალიფიკაცია 5 თამაშით მიესაჯა. თავად კლუბი „არარატი“ დაჯარიმებულია 400 ათასი დრამით (1,1 ათასი დოლარითძ.

შეგახსენებთ, რომ 23 აპრილს სომხეთის ჩემპიონატის მატჩზე „არარატი“– „პიუნიკი“ შესვენების დროს 63 წლის ანდრეასიანმა მძლავრი დარტყმით ყბა მოსტეხა 19 წლის ფოტოკორესპონდენტს აშოტ არუშანიანს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ხალხური ხმები

### ბესიკის ამბავს გიამბობ...

შევხედე, თვალი მომტაცა
გაზაფხულისა იამან;
სულ დამავიწყდა ყოველი,
თუ რამე მინახიარა,
ყელი ხოხობს მიუგავდა,
მკერდი ტრფობისთვის
ღელავდა,
ბაგე ღვინისფერი ჰქონდა,
კბილი ბროლივით ელავდა.
კოცნა ვთხოვე და იურჩა,
მომარიდა პირი-სახე,
ხელი მოვკიდე, მოვზიდე,
შველივითაც ვაცახცახე.
გამიბრაზდა, ამიტირდა,
ცრემლი ნამივით
ბრწყინავდა,
ზედ დაფენილი წამწამი
გიშერივითა ბზინავდა.
წარბი შევკარ, მოვიღრუბლე,
გულში მწარედ გამეცინა,
სხვა არავინ მყვარებია,
კოცნაზედა წამეცდინა.
ნეტავი ერთხელ მამყოფა
შენს წელზედ შემოხვეული,
დაბურულ ტყეში წაგიღო,
ნაბადში გადახვეული.
მთელს ღამეს გაგითენებდი,
არ მოგაკარებ ავსაო,
შენს ტრფობას შევეწირები,
ვით ზვარა ხატისკარსაო.
ბესიკის ამბავს გიამბობ,
როგორ უყვარდა ანაო,
ჩემს მკლავზედ
დაგაძინებდი,
გეტყოდი ნანი-ნანაო...

თინა ცალქალამანიძე,
პენსიონერი პედაგოგი
ს. კავთისხევი, კასპის რაიონი

## SIC!

### დავიცვათ ბავშვთა სახლების აღსაზრდელები ძალადობისაგან

„ქრისტიან-დემოკრატები“ სახალხო დამცველის ანგარიშში ბავშვთა სახლებში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე დროულ რეაგირებას ითხოვენ.

აღნიშნული მოთხოვნა „ქრისტიან-დემოკრატების“ წევრმა მაგდა ანიკაშვილმა გუშინ, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააჟღერა.

მისი შეფასებით, სახალხო დამცველის ანგარიშის „ზრუნვის ნაწილში“ იმდენად მნიშვნელოვან და სერიოზულ პრობლემებზეა საუბარი, რომ მათი გადაჭრა დროში ვერ ითმენს და აუცილებელია მოხდეს მისი ადეკვატური შეფასება.

— მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგი არანაკლებ მწვავე და შოკის მომგვრელია, როგორც პატიმრებთან დაკავშირებული საკითხები. ბავშვთა სახლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები მოულოდნელიც კი აღმოჩნდა როგორც ოპოზიციისთვის, ისე ხელისუფლებისთვის, — განაცხადა ანიკაშვილმა.

მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ანგარიშის განხილვის შედეგად შესაძლოა ზრუნვის სააგენტოს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს.

ამასთან, ანიკაშვილი ეჭვქვეშ აყენებს ახალ უწყებაში მიზანშეწონილობის საკითხს, რადგან რჩება შთაბეჭდილება, რომ ძველი მოდელი უკეთ და უფრო ეფექტურად მუშაობდა.

ჯი-ეიჩ-ენი

## ხელოვნება

# ასია ავეტისოვა-გაბუნია



ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი ქალბატონი ასია ავეტისოვა-გაბუნია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ასია ავეტისოვა 60 წელზე მეტი თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ამავე დროს იყო პედაგოგიური საბჭოს თითქმის უცვლელი მდივანი, რომელიც მასზე დაკისრებულ მოვალეობას ყოველთვის მაღალი პროფესიონალური ოსტატობითა და პასუხისმგებლობით ასრულებდა.

თუ თვალს გადავავლებთ ქ-ნ ასია ავეტისოვას ცხოვრებისეულ ბიოგრაფიასა და მის შუქჩამდგარ მადლით მოსილ სანდომიან სახეს, თვალწინ დაგიდგებათ ქვეყნისა და ერისთვის ამაგდარი სახელოვანი ქალი, შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული დედა, მოსიყვარულე ბებია, საუკეთესო მეგობარი, საიმედო ახლობელი, ჭირისა და ლხინის დამამშვენებელი პიროვნება.

ვინ იცის, რამდენი უფიქრია, რამდენი უძილო ღამე გაუთარებია, რომ ახალგაზრდის გულის გასაღები ეპოვა და იქ სიკეთის თესლი დაეთესა. აკი მოიმკა კიდეც. ახლა მისი ოჯახის წევრები, აღზრდილები თავდახრილები, თვალცრემლიანები, ყვავილებით მიაცილებენ სამუდამო სასუფევლისკენ, რაც ყველაზე დიდი ჯილდო და გვირგვინია მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა.

ქალბატონო ასია, თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია ვილოცოთ, რათა უფალმა ნათელში ამყოფოს მარადისობაში გადასული თქვენი ლამაზი სული.

მეგობრები, კოლეგები, აღზრდილები

### „ავერსი“ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ასაჩუქრებს

კომპანია „ავერსი“ უკვე მეხუთე წელია, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს 9 მაისის აღსანიშნავად მედიკამენტების ნაკრებით ასაჩუქრებს.

ომის ვეტერანებისთვის მედიკამენტების ასორტიმენტი მათი მოთხოვნის შესაბამისად შეირჩა.

სასაჩუქრე პაკეტი „ავერსი-რაციონალის“ მედიკამენტებით არის დაკომპლექტებული. ისინი მომხმარებლის მხრიდან განსაკუთრებით მოთხოვნადია. სასაჩუქრე პაკეტში შემავალი მედიკამენტები მაღალი ხარისხითა და ეფექტურობით გამოირჩევა.

სასაჩუქრე მედიკამენტების პაკეტი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს გადაეცემათ, ხოლო თუ რომელიმე მათგანს რაიმე მიზეზის გამო აფთიაქში მისვლა არ შეუძლია, საკმარისია, ვეტერანის ახლობელმა ან ნათესავმა ავერსის აფთიაქში მისი საბუთები წარადგინოს და სასაჩუქრე ნაკრებს მას გადასცემენ. საჭირო საბუთი კი მხოლოდ ომის და სამხედრო ძალების ვეტერანის მოწმობაა სურათითურთ.



ირინა ღლონტი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს კლარა ორდენიძეს საყვარელი ვაჟიშვილის
ნუკრი რევაზის ძე ნანიტაშვილის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მინდია სალუქვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, აწ გარდაცვლილი აკადემიკოს მერაბ ალექსიძის მეუღლის, ასევე უახლოესი ადამიანის, დიდებული ქართველი ქალბატონის
ეთერ მძინარიშვილ-ალექსიძის
გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის სანათესაოსა და სამეგობროს.

---

იური ოსიპოვი, ილარიონ ხაზარაძე, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, არჩილ გოგელია, ზურაბ ცქიტიშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის, ღირსეული ადამიანის, ცნობილი პიროვნების
ჯუმბერ (კოსტაძ
წულაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ინფორმაცია

### ვასილ სანოძე მძიმედაა დაჭრილი

ამის შესახებ პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

— პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვასილ სანოძესთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს. თუმცა დამატებითი დეტალებისთვის მიმართეთ შსს-ს, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას მანანა მანჯგალაძემ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვასილ სანოძე თავის არეში მძიმედ არის დაჭრილი და ის ღუდუშაურის საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ღუდუშაურის კლინიკის ინფორმაციით, ვასილ სანოძე რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ჰოსპიტალიზაცია გუშინ, გამთენიისას მოხდა.

შეგახსენებთ, რომ შსს-ის გენერალური ინსპექციის უფროსი თავის არეშია დაჭრილი და მისი მდგომარეობა კრიტიკულია. არაოფიციალური ინფორმაციით, მან თვითმკვლელობა სცადა, თუმცა როგორც უწყების ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა განაცხადა, სანოძეს საკუთარ სახლში ყოფნისას ტაბელური იარაღი გაუვარდა.

### ფალსიფიცირებულ სასმელებზე დააკავეს

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული მინერალური წყლების, გამაგრილებელი და მაღალალკოჰოლური სასმელების დამზადებისა და რეალიზაციის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისში მცხოვრები ელგუჯა ბაღდავაძე, რევაზ თაბუკაშვილი და მზია ნოზაძე.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები წლების მანძილზე სოფელ ყვიბისში არსებულ კუსტარულად მოწყობილ საამქროებში განსაკუთრებულ ანტისანიტარიულ პირობებში, ყოველგვარი ჰიგიენური ნორმების დარღვევით აწარმოებდნენ უალკოჰოლო და ალკოჰოლურ სასმელებს: „ბორჯომს“, „ლიკანს“, „ნაბეღლავს“, „ნატახტარის“ ლიმონათებს, არყებს „გომი-ლუქსი“, „მედოვუხა-მაისკაია“ და „უკრაინა-პლატინა“. ბრალდებულები ფალსიფიცირებული პროდუქციას მეორად ბოთლებში ასხამდნენ.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იუწყება, სამართალდამცველებმა ბორჯომსა და ყვიბისში სულ 7 კუსტარული საწარმო დალუქეს. იქ დამზადებულ სასმელებს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში ჩაუტარდა ტრასოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით, აღნიშნული პროდუქცია ფალსიფიცირებულია, შეცვლილი აქვს თვისობრიობა, შეიცავს მავნე მიკრობებს და მისი მიღება საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

### „ლუკოილის“ მთავარი მენეჯერის ქალიშვილი მკვდარი იპოვეს

კომპანია „ლუკოილის“ მთავარი მენეჯერის 16 წლის ქალიშვილი ვიქტორია ტესლიუკი მოსკოვის ოლქში მკვდარი იპოვეს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია სამართალდამცავ ორგანოებში არსებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს. გოგონა ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში გაუჩინარდა და შემდეგ ეძებდნენ.

— გოგონა შემთხვევით იქნა ნაპოვნი გზის პირას, მაშინ როდესაც თოვლი დადნა. იგი მკვდარი იყო, — განაცხადა წყარომ რუსულ მედიასთან საუბარში.

აღსანიშნავია, რომ რუსული მედია ასევე იუწყება, რომ მოსკოვის ოლქის მთავარ საგამოძიებო სამმართველოში უარყვეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გოგონას ცხედარი იპოვეს.

კომპანია „ლუკოილს“ ამაზე ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

### სს „მაცნეს“ აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

2011 წლის 24 მაისს 15 საათზე, ქ. თბილისში, ცაბაძის ქ. №4-ში, მოწვეულია სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2011 წლის 26 აპრილი.

**დღის წესრიგი:**
1. 2010 წლის წლიური ანგარიშის განხილვა;
2. მოგების განაწილების შესახებ;
3. აუდიტორის არჩევა.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციას უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს „მაცნეს“ აქციონერთა რეესტრის მწარმოებელთან შპს „კაპიტალ-რეგისტრთან“, კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში (ჭავჭავაძის გამზ. №55, ტელ. 23-03-84ძ.

სს „მაცნეს“ დირექტორი ბორის ცომაია

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## დაიჯესტი

### დიანას „შესანიშნავი ხუთეული“



**დიდი ბრიტანეთის ყოფილი უელსის პრინცესის დიანას პირადმა მდივანმა ცოტა ხნის წინათ მის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით მიმდინარე სასამართლო პროცესზე ბევრი საგულისხმო ფაქტი გაამხილა.**

პარიზში ტრაგიკულად დაღუპული დიანასა და მისი საყვარლის ალ-ფაიედის სიკვდილის გარემოებათა გამოკვლევა ჯერაც არ დასრულებულა და მას სულ ახალ-ახალი სენსაციები ახლავს. ცოტა ხნის წინათ გამართულ ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე დიდ ბრიტანეთში დიანას ყოფილმა პირადმა მდივანმა მაიკლ ჯიბინსმა თავისი ყოფილი უფროსის პირადი ცხოვრების ახალი დეტალები გამოამზეურა.

ამასთან დაკავშირებით ბრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ წერს, რომ ჯიბინსის განცხადებით, პრინც ჩარლზზე გათხოვების შემდეგ ლედი დის სულ მცირე ხუთი საყვარელი მაინც ჰყავდა, რომელთა სახელები მან გააშკარავა.

ჯიბინსის თქმით, სამეფო ოჯახს პირდაპირ არასდროს დაუგმია დიანას პირადი ცხოვრება, მაგრამ, ამავე დროს, ვინძორები ყოველთვის მიანიშნებდნენ, რომ ტახტის მემკვიდრის მეუღლეს ასე თავქარიანი მოქცევა არავითარ შემთხვევაში არ მართებს. დიანას „შესანიშნავი ხუთეული“ კი ასეთია: ბრიტანეთის ჯარის ყოფილი ოფიცერი ჯეიმს ჰიუიტი (იგი ერთადერთია, ვინც საჯაროდ აღიარა დიანასთან თავისი კავშირი), რაგბში ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი უილ კარლინგი, დიანას ყოფილი პირადი მცველი ბარი მანაკი, საზოგადოებასთან ურთიერთობათა სპეციალისტი ჯეიმს ჯილბი და ხელოვნების ნამუშევართა გამყიდველი ოლივერ ჰოარი.

### რეკორდული ტური

**საქვეყნოდ ცნობილი ირლანდიური როკ-ჯგუფის „U-2“-ის ახლანდელი მსოფლიო ტურნე აპრილის დასაწყისში ყველა დროის ჩატარებული საგასტროლო ტურნეს ყველაზე მომგებიანი კონცერტების სერიად ოფიციალურად აღიარეს.** წინა რეკორდი, რომელმაც ოთხი წელი გაძლო, ასევე ლეგენდარულ „როლინგ სთოუნზს“ ეკუთვნოდა. 10 აპრილს „U-2“-მა კონცერტი ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში გამართა და იქ ბილეთების გაყიდვიდან მიღებული თანხის გათვალისწინებით, ტურნეს მთლიანმა შემოსავალმა 558 მილიონ დოლარს გადააჭარბა.



### საგვარეულო ფასეულობები



**ბრძენი ჩინელები თავიანთ პატარებს 70-ე მუხლამდე წინაპართა სახელებს ასწავლიან. რაც უფრო გრძელია ჯაჭვი, მით უფრო ფართოა ჩვენი პირადი დროის საზღვრები – ეს დასკვნა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის სტივ ზეიტლინის მეცნიერთა ჯგუფმა გამოიტანა. ამ თვალსაზრისით, ამერიკელ მერი სთრონგს ბევრ სხვაზე მეტი დრო აქვს.** მისი 104 წლის დიდი პაპის მამა დღესაც ცოცხალია, თამბაქოს ეწევა და კარგად ახსოვს თავისი პაპა, რომელიც ახალგაზრდობაში... მონა იყო. ამდენად, მისის მერის ადვილად წარმოუდგენია შორეულ წარსულში ის წერტილი, რომლიდან მოყოლებული საკუთარი თავის შესახებ შეუძლია თხრობის დაწყება. ბევრს კი ამის შესაძლებლობა არ აქვს... მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მერის მსგავსი ადამიანები ცხოვრებისთვის უკეთ მომზადებულები არიან და ხშირად არ ადარდებთ კითხვა „ახლა როგორ ვიცხოვრო?“ მათ შეუძლიათ ცხოვრება, დაბერება და დანაკარგთა ატანა საკუთარი საგვარეულო დროის სიმაღლიდან.

ამით ხსნიან ინტერესს ბებიების ზანდუკებისა და ზარდახშებისადმი, ანტიკვარიატისადმი და, ზოგადად, იმისადმი, რაც წინაპრებს ეკუთვნოდათ.

### მუტანტები კვამლში



**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ თამბაქოს მოწევა უბრალოდ მავნე კი არ არის, არამედ... მუტაციებსაც იწვევს! სიგარეტის კვამლი, თურმე, 300-ზე მეტი გენის ფუნქციას არღვევს.** იგი 69 კანცეროგენს შეიცავს, რომლებიც გენომში ცვლილებებს იწვევენ. დამტკიცებულია, რომ კიბოს დაახლოებით 30 სახეობა თამბაქოს მოწევით გამოწვეული გენომების დაზიანების შედეგია.

### კვერცხი თუ ქათამი?

**როგორც იქნა მარადიულ კითხვას – რა იყო პირველი, კვერცხი თუ ქათამი? – ბრიტანელმა მეცნიერებმა უპასუხეს.** კვერცხის ნაჭუჭის წარმოქმნის პროცესის მოდელირების შედეგად მკვლევარებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ მასში უდიდეს როლს ცილა ასრულებს, რომელსაც ქათმის საკვერცხეები გამოიმუშავებენ. ამით საბოლოოდ დადგინდა, რომ პირველი მაინც ქათამი ყოფილა.



## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● არაერთ ისტორიულ გადმოცემასა და ლეგენდას პლუტარქემ სიმართლესთან მიახლოებული ახსნა მოუძებნა. მაგალითად, მას არ სჯეროდა, რომ რომის დამაარსებლები – რომული და რემი – ძუ მგელმა გამოკვება. მაშინ ისინი გონებრივად განუვითარებლები იქნებოდნენ. პლუტარქეს აზრით, რომის დამაარსებლები მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა – ძუკნამ, იგივე ძუ მგელმა გამოკვება.

● ნერონს ნამდვილად ჰქონდა წითური წვერი, მეტსახელი „აჰენობარბუსი“ წითურწვერიანს ნიშნავს, რაც სულაც არ მიუღია გარეგნობის გამო, ეს მისი მემკვიდრეობითი მეტსახელი იყო.

● უკანასკნელი წლების ერთ-ერთ ნაშრომში ლენინმა გამოთქვა აზრი, რომ კომუნიზმის საბოლოო გამარჯვების შემდეგ ქალაქების მოედნებზე დაიდგმება საზოგადოებრივი დანიშნულების ტუალეტები ოქროს შენობებში.

● ეს კაცი „რესპუბლიკელთა“ ხელმძღვანელი იყო იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ. მას არ ჰქონდა მყარი პოზიციები და რესპუბლიკელთა წინააღმდეგ მომხდარი ამბოხის დრო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 43 წელს, მოკლეს. მისი სახელი ბოლოვდება ასე: მარკუს ტულიუსი, ხოლო იწყება კი საკმაოდ ცნობილი სახელი – ციცერონი.

● პიკასოს ყველაზე ადრეულ ნახატებს დღევანდლამდე თითქმის არ მოუღწევია, რადგან იმ პერიოდში მხატვარს შეშის ფული არ ჰქონდა და გასათბობად ღუმელში საკუთარ სურათებს წვავდა.

● ალბერტ აინშტაინის სიტყვებია: „წარმატება სამი კომპონენტისგან შედგება: იღბალი, თამაში და ენაზე კბილის დაჭერის უნარი“.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



იყიდება, ქირავდება!

ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ
ვრცელი ფართობი (180 კვ.მ.) საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

## კადრი



## ანეკდოტები

თუ ბენზინისა და წიწიბურას ერთმანეთში ავურევთ, მივიღებთ მასას, რომელიც ალმასზე ბევრად ძვირად ფასობს.

* * *

როლანდ რეიგანი: „მსახიობი – პრეზიდენტი“!

დიმიტრი მედვედევი: „პრეზიდენტი – მსახიობი“!

ორი სამყარო – ორი ბელადი...



წარმატებული ამერიკელი სპეკულიანტი-მილიარდერი ბაფეტი ხშირად იმეორებს: მე ფულს ვდებ მხოლოდ ისეთ რამეში, რასაც შეიძლება ხელი შეავლო. პოდიუმზე თანამედროვე მანეკენი ქალების შემყურე ხვდები, თუ რატომ არ დებს ბაფეტი ფულს ამ ბიზნესში.

* * *

ღამით სასაფლაოზე გავლა არ არის იმდენად საშიში, რამდენადაც ცარიელ ბინაში ცხვირის დაცემინებაზე ვინმეს დალოცვა – იცოცხლეო!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24